

ახალი ვაჭიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა

ანუ

მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა

გამოცემული

რედაქტორობით და წინა-სიტყვაობით

ჟ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ღ ი ს ა .

ტფილისი.

Типогр. М. А. Магсвѣтова. || სტამბა ი. ა. მანსვეტოვისა.

1891.

წინა-სიტყვაობა

ახალი ვარსიანტი წმიდა ნინოს ცხოვრებისა, რომელიც აქამომდე ცნობილი არ იყო და აქ პირველად იბეჭდება, შეადგენს მეორე ნაწილს „ქართლის მოქცევის წიგნისა“. პირველი ნაწილი ქართლის მოქცევისა შეიცავს ისტორიულ სრონიკას და დაბეჭდილია ჩვენს გამოცემაში, რომელსაც ეწოდება „სამი ისტორიული სრონიკა“. იქვე მოყვანილია სრული აღწერილობა შატბერდის კრებულისა, რომელიც ეკუთვნის მეათე საუკუნეს და რომელშიც მოიპოვება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, და აგრეთვე გამოთქმულია სრული ჩვენი აზრი საზოგადოთ ქართლის მოქცევის შესახებ. ამიტომ აქ საჭიროთ არა ვრაცხთ განვიმეოროთ ის, რაც უკვე გამოგვითქვამს, და ვისაც სურს დაასლოკუბით გაიცნოს მოელი ქართლის მოქცევა, მან უსათუოდ ჩვენს სამ ისტორიულ სრონიკას უნდა მიმართოს ¹⁾).

ტექსტის გამოცემის წესი აქაც ისეთია დაცული, როგორც ქართლის მოქცევის სრონიკაში არის, ესე იგი ის ხიტუეები და ასონი, რომელნიც დედანში გადასულნი არიან; და ძლივს განირჩევიან, დიდ თრჩხილებშია ჩასმული. საეჭვო

¹⁾ იხ. სამი ისტორიული სრონიკა (ქართლის-მოქცევისა, სუმბატისა ბაგრატიონების შესახებ და მესხურა დავითანისა)... ტფილისი. 1890.

შემოსვენებაში პატივ ქვეშე მოყოფი სიტყვები პატივითვე არიან ნაჩვენები პატარა ფრანკილებში და სასოგადოთ მართლწერა დედნისა სასტიკად არის დაცული 1). წმიდა ნინოს ცხოვრებას დედანში აკლია სამი ფურცელი. ნაკლული ტექსტი, სადაც შესაძლო იყო, შევავსეთ იოანე ნაოლის მცემლის და შიო-მღვიმის მამათა ცხოვრების სელ-ნაწერებიდან და ცნობები ამ შევსების შესახებ შენიშვნებში უჩვენეთ 2). აქ საჭიროთ ვრაცნით მოვიყვანათ ცნობები ქართველთ წმიდა მამათა ცხოვრების ვარიანტებსე სასოგადოთ და აგრეთვე იმ სელ-ნაწერების შესახებ, რომლებითაც ჩვენ ვსელმძვანელობდით შედარების დროს.

შუველეს ვარიანტათ ქართველთ მამათა ცხოვრების ითვლება ერთი ეტრატსე ნაწერი ვარიანტი, რომელიც ეკუთვნის პეტრეზურგის სამეცნიერო აკადემიას და რომელშიც მოიპოვება—ა) ცხოვრება წმიდა ნინოსი და მოქცევა ქართლისა და მირიან შეივისა, ბ) ცხოვრება დავით გარეჯელისა, გ) შიო მღვიმელისა, დ) აბიბოს ნეკრესელილისა და ე) დავით და კოსტანტინესი. ყველა ეს ცხოვრებანი აღწერილნი არიან არსენი კათალიკოსის მიერ, რომელიც ცხოვრობდა მეათე საუკუნეში 3).

1) ხოლო პირველ სამ გვერდზე „უე“-ს მაგიერ სიტყვებში ჩვენ, თქვენ და სხვა შეცთომით არის ნახმარი „უქ“. ჩვენს დედანში, როგორც უშუველეს სელ-ნაწერებში სასოგადოთ, „უქ“ მაგიერ ყოველთვის „უე“ იხმარება.

2) იხ. ქვემოთ გ. 15—18; 24; 40—42.

3) იხ. პროფესორ ჩუბინოვის წინა-სიტყვაობა ქართლის ცხოვრების მეორე ტომისა, გ. XX.

სსენებულ ვარიანტის შემდეგ. საუკეთესო ვარიანტებათ ქართველთ მამათა ცხოვრებისა ითვლებიან შიო-მღვიმის და იოანე ნათლის-მცემლის მონასტრის ვარიანტები, რომელნიც ესლა ჩვენს საეკკლესიო მუზეუმს ეკუთვნიან. ამათზე უკეთესი და უსრულესი ქართველთ მამათა ცხოვრებანი ჩვენში არ მოიპოვებიან, ჩვენ სძირათ მივმართავთ ამ სულნაწერებს ჩვენს შენიშვნებში, და ამიტომ საჭიროთ ვრცლთ მოვიყვანოთ აქ მათი სრული აღწერილობა.

შიო-მღვიმის მამათა ცხოვრება № 170 in 4^o, ანუ 30×21 (22×6) სანტიმეტრი, დაწერილია მშვენიერ მოსქო ქაღალდზე წვრილის და ძრიელ ლამაზის ნუსსა სუცურის სელით, ტექსტი ნაწერია ორ სვეტად და თითოეულ სვეტზე დატეულია 40 სტრიქონი. მელსი ტექსტისა შავია, სათაურებისა წითელი. სელ-ნაწერი შეიცავს სულ 502 გვერდს და დაცულია სრულათ. პავინაცია აღნიშნულია რვეულებზე თითოეული რვა ფურცლის შემდეგ. უდა სისა აქვს ტყავ. გადაკრული და ლამაზი. პირველ ფურცელზე თავში ივრადებით შემკობილი ფურცლის სათაური, ანუ „ზასტაკვა“ არის, არა მდიდრული. სიტყვები უმეტეს შემთხვევაში შემოკლებით არიან ნაწერნი, პატივ ქვეშ. სელ ნაწერში მოქცეულია სრული ცხოვრებანა ქართველთ წმინდანებისა შემდეგის რიგით:

1) ცხოვრება წმიდისა იოანე ზედა-ზადენელისა (1—24). სათაურის ქვემოთ სწერია: განაასლა და განავრცო წმიდამან მამამან ჩუჭსმან ქრისტეს მიერ ქართლისა ქათალიკონმან არსენი. 2) ცხოვრება წ. დავით გარეჯელისა (25—61); 3) ცხოვრება წ. შიო-მღვიმელისა (62—92),

რომელი აღწერა ღირსმან მარტური, პირველ რომელსა ეწოდა იოანე (იე), რომელი იყო მოწაფეთაგანი წმიდისა იოანესთა კოსტანტინეპოლით; 4) ცხოვრება წ. მამისა აბობს ნეკრესელისა თქმული არსენ დიდისა ქართლისა კათალიკოზისა (93—97). ამის ბოლოს სწერია: „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი იოანე, ამინ“. 5) ცხოვრება წმ. მოწამისა კოსტანტინესი ქართველისა, რომელი იწამა ბაბილოვანელთა მეფეთა ჯვარის მიერ (97—102); 6) ცხოვრება წ. გობრონისა, აღწერილი სტეფანე მტბეკრელ ეპი სკოპოზის მიერ, ბრძანებითა აშოტ კურატპალატისათა (103—110); 7) წ. ევსტათი მცხეთელისა (110—120); 8) წ. შუშანიკ დედოფლისა (120—130); 9) წ. ქეთევან დედოფლისა (120—154); 10) ცხოვრება წმიდათა მოწამეთა დავით და კოსტანტინესი (155—162); 11) წ. ლუარსაბ მეფისა (163—169); 12) არჩილ მეფისა (169—170); 13) ეფთჳმე მთაწმინდელისა (171—208); 14) გიორგი მთაწმინდელისა (208—266), ამის ბოლოს სწერია: „მამო წმიდაო გიორგი, მეოხ და მფარველ მეუფე მე წინაშე ქრისტესა ცოდვილს იოანეს მწერალსა“. 15) ცხოვრება წ. ილარიონ ქართველისა (267—293); 16) პეტრე ქართველისა (293—300); 17) წ. აბოხი (300—223). ამის ბოლოს სწერია: „ყოვლად ქებულო მოწამეო აბო, მეოხ მეუფე ცოდვილსა მწერალს გლახაკს იოანესა“. შემდეგ კითხულობთ: „გურთსეულმცა არს საკელი, რომელმან შეკრიბა დედა წიგნისა ამის, ამინ“. 18) ცხოვრება წმ. ნინოსი (321—386). ბოლოს სწერია: „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი სიონის მთავარ-ღვთაიანი, გერძანეს მამის

წული, იოანე^ა. 19) განგება სვეტის ცხოვლის დღესასწაულისა და მოთხრობა სვეტისათვის ცხოველისა და საუფლოსა კვართისათვის (386—432). 20) ცხოვრება წ. რაქდენისა (433—435). მე-436 გვერდზე მოუვანილია ზანდუკი წიგნისა და ბოლოს სწერია: „სრულ იქმნა საკითხავი წმიდათა მამათა და მოწამეთა კელითა ჩემ ცოდვილისა მთავარ-დიაკონისა იოანესითა. დიდება ღმერთსა, სრულ მოყოლესა ყოველთასა, ამინ. და თუ რამე ნახოთ შეცთობით, ნუ მწყევლით ღვთის გულისათვის და გამრთვას ეცადებით საღვთოს სიუკარულაობისათვის“. 21) კსენება ღმრთობელი წ. დოდო გარეკელისა (437—443); 22) საგალობელი და შესმანი რაქდენისი (445—456); 23) — აწილ მეფისა (457—466). 24) — ლუარსაბ მეფისა (407—486); 25) შესმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელიზბარისი და უწყებაჲ წამებისა მათისაჲ. (480—493); 26) — ისე წილკნელისა (493—502).

ბოლოს სწერია: „დიდება ღმერთსა დიდებით დიდებულსა. ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი მთავარ-დიაკონი იოანე. სრულ იქმნა სიონს შინა, ქალაქსა ტფილისისა, თთვესა (თა) ივლისის გასულს, ქჷს უკა“ — 1733.

ამ გვარად შიო-მღვიმის სელ-ნაწერი, რომელიც საუკეთესო კრებულს შეადგენს ქართველთ წმიდა მამათა ცხოვრებისა, გადაწერილი უოფილა ტფილისში 1733 წ., ივლისის გასულს, სიონის მთავარ-დიაკონის, გერმანეს ძმის წული, იოანეს მიერ.

იოანე ნათლის-მცემლის მონასტრის ქართველთ მამათა ცხოვრება № 130 in 4^o, 32×21 (20×6) სან-

ტიმეტრი დაწერილია თეთრ ქაღალდზე მოლამაზო ჭ ან მსხვილი ნუსხა სუტურის ხელით. ტექსტი ნაწერია ორ სვეტათ და თითოეულ სვეტზე დატეულია ოცდა ცხემეტი-დგან ოცდა თექვსმეტი სტრიქონამდე. მელანი სათაურებისა წითელია, ტექსტისა შავი. ჰაგინაცია აღნიშნულია რვეულესზე თითოეული რვა ფურცლის შემდეგ. ხელ-ნაწერი აგინძულია, მაგრამ უდა არა აქვს. თავი და ბოლო აკლია. თავში, როგორც ჰაგინაციიდგან ხჩანს, მხოლოდ 23 ფურცელი აკლია. ესა დატეულია ხელ 624 ფურცელი. ტექსტი ამ მამათა ცხოვრებაში უფრო ადვილი საკითხავია, ვიდრე შიო-მღვიმისაში, რადგანაც ხელი წერისა უფრო მოსხოა და შემოკლებანიც ისე ძლიერ სშირნი არ არიან, როგორც პირველში. იოანე-ნათლის მცემლის ვარინტში ქართულთ მამათა ცხოვრებანი სრულიად იმავე რიგით არიან მოყვანილნი, როგორც შიო-მღვიმისაში. ტექსტი ეხლა იწყება დავით გარეკველის საგალობელით: „შნ გნ შბიღისა ქა შნსნი ღის მხოზლად აღმსარებლნი დაიფარენ უსაწინელი...“ თავდება სიდონიას მოთხრობით ჰაგინის შესასებ, რომელიც სვეტი-ცხოველის განგებაშია მოქცეული: „ჰკითხვიდეს უკუნ, თუ რაა არს კონქსა მას შეკრძალულსა შინა. სოლო ივინი მიუტებდე, ვითარცა უწყოდეს სულტისა შესაბამად ჭეშმარიტებისა“. მოგვეკვს აქ ეგვალა შინაწერები ტექსტისვე ხელით, რომელნიც მოიპოვებინ ამ წიგნში.

დავით გარეკველის ცხოვრების ბოლოს სწერია: „მე ცოდავილმან და უღირსმან გაბრიელ საგინაშვილმან აღვასწერე მამათა საგალობელი და საკითხავი. გვედრებით,

ნუ დაძვრულით ავად წერისათვის: ავი დედანი მჭონდა, დიაკნის დაწერილი იყო. მე უდაბნოს ნათლის-მცემლის მონასტერში აღვსწერე მრავალ-მთისა. შევსწირე დიდებულს ნათლის-მცემელს, ვინც გამოსწიროს ჩემთა ცოდვისათვის განიკითხოს, დღესა მას განკითხვისასა ნუ იქმნების კსნა სულისა მისისა“. წ. შიოს ბოლოს: „ქრისტე, შეიწყალე გაბრიელ საგინაშვილი. წმიდაო მამაო შიო მღვიმელო, მეოს და შეამდგომელ მეყავ მეუფესთან“. ეფთიმე მთა-წმინდელის ცხოვრების ბოლოს: „წმიდაო მამაო ეფთჳჳე, წმიდაო მამაო გიორგი, ჭრთველნო წმიდანო, შემწე და მეოს მექმნით ცოდვილსა და უღირსსა გაბრიელს საგინაშვილს, ოდეს მოვიდეს დიდებითა თვისითა განკითხვად ცოდვილთა და მართალთა. თქვენი ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ აღვსწერე უდაბნოს ნათლის-მცემლის მონასტერს მრავალ-მთისასა, ოდეს მკვიდროდნი მას მონასტერსა, და შევსწირე ნათლის-მცემელს, ვინც გამოსწიროს, ჩემის ცოდვისათვის განიკითხოს დღესა მას სასჯელისასა“. წ. აბოს ცხოვრების ბოლოს: „წმიდაო მოწამეო ჭაბო, შემეწიე ცოდვილს გაბრიელს განკითხვას დღეს“. სვეტი-ცხოვლის განგების ბოლოს: „სვეტო ცხოველო, შემწე და მეოს მეყავ ცოდვილს გაბრიელს საგინაშვილს“.

მე-ჰმმ გვერდის ქვემო ზრშიაზე არა ტექსტის ხელით და წერილი სუცური ასოებით სწერია: „ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი იოანე (ი^ე) ბერი“. გიორგი მთა-წმინდელის ბოლოს სწერია:

„წმიდაო მამაო გიორგი, მეოს მეყავ წინაშე ღვთისა ცოდვილს გაბრიელს საგინაშვილს, აღვსწერე ჭრთველ-

თა წმიდათა ცსოვრება უდაბნოს ნათლის-მცემლის მონასტერს მრავალ-მთისსა. ვიკადრე და მოკახსენე და შეკსწირე ნათლის-მცემელს, ვინცა გამოასვას ესე უნდოდ ნაწირო წიგნი ჩემის-ცოდვისათჳს განიკითხოს მეორედ მოსულსა, დღესა მას საშინელსა, ვინცა არ მოშალოს, ღმერთმან აკურთხოს. ავით წერისათჳს ნუ დამწეკვლით, ვეშურებოდი, ლეკისაგან გვეშინოდა.

ამ წიგნს რომ ვწერდი, მოუხდა ლეკის ჯარი დავითგარეჯას, უოვლად წმიდის სარტელის დადუას, მკათათვის „ბ“-სა. ღმერთმან და წმიდამან ღვთის-მშობელმან და წმიდამან დავით დავითა მონასტერი უჭირველად, უგუწბილებულნი (უგუწბილბულნი) წარვიდენ, ქგს „უა“—1713.

აქედგან სჩანს, რომ იოანე ნათლის-მცემლის ვარიანტი გადაუწერია გარეელ სტინაშვილს 1713 წ., დიაკონის ნაწერი დედნიდგან, იოანე ნათლის-მცემლის მონასტერში მრავალ-მთისა და შეუწირავს იმავე მონასტრისათვის. მაშასადამე, სსენებული ვარიანტი ოცი წლით ადრე უოფილა გადაწერილი შიო-მღვიმის ხელ-ნაწერზე.

წმიდა გობრონის ცსოვრებას ორივე ხელ-ნაწერში ერთ ადგილას აკლია და ფრანა ერთ და იმავე სიტყვაზეა შეწვეტილი: „ვითარცა იტყვის ესაია წინასწარ მეტყველი, არა თუმცა უფაღმან უოვლისა“ ამას შეიძუე ორივე ხელ-ნაწერში ადგილია დატოვებული და ნათლის-მცემლის ვარიანტში შენიშვნაა გვერდზე მოყვანილი მსედრულის ხელით: „აქ ბევრი აკლდა დუდანსა“¹⁾. ეს გარემოება და

¹⁾ იხ შიო-მღვიმის ხელ-ნაწერი, გ. 104, და ნათლის-მცემლისა, გ. 142.

კიდევ ისა, რომ ორივე ხელ-ნაწერი ერთმანეთში არაფრითა. არ განსხვავდებიან და შეცთომანი ორივეში ერთნი და იგივენი არიან, — აფიქრებინებს დ. ბაქრაძეს, რომ შიომღვიმის ვარინტის გადაწერს დედნათ ჭქონია ილანე ნათლის მცემლის ვარინტი 1). ეს აზრი უეჭველი იქმნებოდა, რომ ერთი გარემოება არ უშლიდეს. საჭმე იმაშია, რომ შიომღვიმის ხელ-ნაწერში ისეთ სიტყვებს ვპოულობთ, რომელნიც ნათლის-მცემლის ვარინტში არ მოიპოვებიან, და ზოგიერთი სიტყვებიც ორივე ხელ-ნაწერში ერთი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მაგალითად, სიტყვების მაგიერ: „ნიანფორისა“, „ფანავარი“, „ორბნითად“ და სხვა, რომელთაც ნათლის-მცემლის ვარინტში ვპოულობთ, შიომღვიმის ხელ-ნაწერში სწერია: „ნიამფორისა“, „ფარავანი“, „ურბნისად“, და სხვა. ერთი ფრაზა დავით და კოსტანტინეს ცხოვრებიდან შიომღვიმის ხელნაწერში იკითხება ასე: „და მოწოდდა მტარვალთა ყოვლადე უწყალოთა და უბრძანა, რათა არა იხილონ გემო არცა ჰურისა, არცა წყლისა“. ნათლის-მცემლის ვარინტში „და უბრძანა“ გამომშვეპულია და არშიაზე შენიშვნაა ტექსტის ხელით: „აქ სიტყვა აკლია“ 2). შიომღვიმის ხელნაწერში სწერია: „და სადაცა მისვიდეთ, ჭქადგებდით“. ნათლის-მცემლის ვარინტში სიტყვა „ამისვიდეთ“ გამოშვეპულია 3). თავის

1) იხ. ბაქრაძის ისტორია გ. 224, შენ 1.

2) იხ. ნათლის-მცემლის ვარ., გ. 230 და შიომღვიმისა, გ. 158.

3) იხ. ქვემოთ გ. 18, შენ. 1.

მხრით ნათლის-მცემლის ვარიანტშიც მოიპოვებინ ისეთი სიტყვები და ფრაზები, რომელნიც შიო-მღვიმის სელ-ნაწერში არ არიან ¹⁾. უკელა ამაჲის გამო, ჩვენის აზრით, უფრო სასტუმარიცო იქმნება ვიფიქროთ, რომ შიო-მღვიმის და იოანე ნათლის-მცემლის ვარიანტები გადმოწერილნი არიან ერთ და იმავე დედნიდან და არა ჰირველი მეორისაგან. სშირ:დ რასაც ერთი მკითსველი ვერ ამოგიოთხავს სელ-ნაწერისაგან წერილის გადასვლის და მქრ:ლი მელნის გამო, ანუ სელნაწერის დასარალების ძიზესით, იმას ზოგი კარგი მკითსველი აღადგენს კარგის დაკვირვებით. ერთ-ყოფა, ასე მოსვლიათ ზემოსსენებული ვარიანტების გადამწერებს, და ის სიტყვები, რომელნიც ნათლის-მცემლის ვარიანტის გადამწერს შეცთომით გამოუშვია, შიო-მღვიმის სელ-ნაწერის გადამწერს არ გამოჰჰარვია.

ახალი ვარიანტი წ. ნინოს ცხოვრების ჩვენ შეკვადრეთ ზემოსსენებულ მამათა ცხოვრებებში მოქცეულ ნინოს ცხოვრებას, ქართლის ცხოვრების ვარიანტებს და აგვთვე ბ. საბინინის მიერ „საქართველოს სამოთხეში“ შეტანილ ნინოს ცხოვრებას. ამ უკანასკნელის მსგავსი სელნაწერები ხშირია ჩვენში, ჩვენ თკიოთს ორი სელ-ნაწერი გვქონდა, ერთი მეთვრამეტე საუკუნისა და მეორე მეცხრამეტისი, მაგრამ ვინაიდან მათი ტექსტი არაფრით არ განიწმენვა საქართველოს სამოთხეში დასუქდილის ტექსტისაგან, ამისათვის მათ აქ აღარ აღვნიშნავთ. რაც შეე-

1) იხ. ქვემოთ, გ. 17, შენ. 2.

სება ქართლის ცხოვრების ვარიანტებს, უნდა შევნიშნათ, რომ მარცხ დედოფლის ვარიანტში მოქცეული ნინოს ცხოვრება არაფრით არ განიხილება შიომღვიმისა და ნათლის-მცემლის ვარიანტებისაგან, გარდა ზოგიერთი სიტყვებისა, რომელნიც გარეგანი არიან შუბცარის გადამწერისაგან. სოლო სსვა ქართლის ცხოვრების ვარიანტებში, რომელთაც ვასტანგ VI-ის წინა-სიტყვაობა მიუძღვის, ზოგიერთი აშკარა შეცდომანი სიტყვებში, რომელთაც ძველათაც ვპოულობთ წმინდა ნინოს ცხოვრებაში, როგორც ქართლის მოქცევიდან სჩანს, შესწორებულნი არიან. ამას გარდა ზოგიერთი სიტყვები, თუძა იშვიათათ, მიმატებულია და ზოგიერთი შეცვლილი. ექვთიმ არ არის, რომ ეს ცვლილებანი ვასტანგის რედაქციას ეკუთვნიან და მიტომ არ მოიპოვებინ ვასტანგის ადრინდელ დროის მარცხ დედოფლის ვარიანტში. ესეც ვიდევ ერთი საბუთი იმისი, რომ ვასტანგის რედაქცია მართლა ჭეონია ადგილი ქართლის ცხოვრებაში. თუ ეს რედაქცია არა ყოფილ-იყო, ქართლის ცხოვრებაში შეტანილი ნინოს ცხოვრება არაფრით არ იქნებოდა განსხვავებული შიომღვიმის და ნათლის-მცემლის მამათა ცხოვრებებში მოქცეულ ნინოს ცხოვრებისაგან, როგორც არ არის განსხვავება მათ და მარცხის ვარიანტის შორის. მოგვიყვას აქ რამოდენიმე მაგალითი ვასტანგის რედაქციის კვალისა იმ წმიდა ნინოს ცხოვრებაში, რომელიც ვასტანგის რედაქციის ქართლის ცხოვრების ვარიანტებში მოიპოვება.

1) ქართლის მოქცევაში, მარცხის ქართლის ცხოვრების ვარიანტში და სსვა ყველა ნინოს ცხოვრების

ვარჩანტებში პატიოსანი ჟვარის ხის შესახებ სხვათა შორის სწერია: „და მისტუდებოდა ერი იგი მწუხანისა ფერობასა მას და ფურცლიანობასა დღეთა ზაფხულისა პირისათა, ოდეს სსუაჲ ყოველი ხე კრელ იყო, ხოლო იგი ყოვლადვე ფურცელ დაუცუნებელ და სულ ჭამო, და ხედავდ შუენიერ იყო“. სხვა ქართლის ცხოვრების ვარჩანტებში რომელთაც ვასტანგის წინა-სიტყვაობა მიუძღვის, „ზაფხულის“ მაგიერ სწერია „ზამთრის“ 1). მართლაც და ნინოს ცხოვრებაში ამ ადგილას შეცთომას. თუ ზაფხულში ხე ფურცლიანი იყო, ეს არაფერი გასაკვირვალა არ არის. თუაზა „ოდეს სსუაჲ ყოველი ხე ხმელ იყო, ხოლო იგი ყოვლადვე ფურცელ დაუცუნებელ“ ცხადათ ამტკიცებს, რომ „ზაფხულის პირის“ მაგიერ „ზამთრის პირი“ უნდა ეწეროს. ვიხიო რე, ეგ შეცთომას, მაგრამ ისეთი შეცთომას, რომელიც ძველთა ცხოვრებას ნინოს ცხოვრებაში, როგორც ეს აშკარათ სჩანს ქართლის მოქცევიდან. ამ ცხად შეცთომას ასწორებს ვასტანგის რედაქცია.

2) უველა ნინოს ცხოვრებებში და მარამის ქართლის ცხოვრების ვარჩანტში ზაბილონის შესახებ სხვათა შორის სწერია: „და ესე წარვიდა ჰრომედ წინაშე მეფისა მსახურებად ღ ნიჭისა მოღუბად მისგან.“ ხოლო ვასტანგის რედაქციის ქართლის ცხოვრების ვარჩანტებში ეკითხულობთ: „წარვიდა ჰრომედ წინაშე მეფისა მაქსიმინესა მსახურებად და ნიჭი-

1) იხ. ქვემოთ გ. 56 შენ. 1.

სა მოღებად მისგან“ 1). აშკარაა, რომ სიტყვა „მაქსიმია-
ნესა“ ვასტანგის რედაქციის მიერ არის შეტანილი ქართ-
ლის ცხოვრებაში. ხსენებულ რედაქციის გამოუნგარიშებია,
კინ იყო რომის მეფე იმ დროს, და ეს სახელი მიუმატებია.

3) მარია¹ დედოფლის ქართლის ცხოვრების ვარიანტ-
ში და სსკა ყველა ნინოს ცხოვრებებში ვკითხულობთ ერთ
ასეთ ფრაზას: „ჩაშინ თთუესა მანისსა ერთსა შეიქმნეს ჟურანი
ესე და შჯდსა მის თთჯსასა აღმართნეს კელის დადები-
თა მეფის: ათა, სისარულითა და დიდითა წადიერებითა
ყოვლისა ქალაქისა ათა“. ვასტანგის რედაქციის ქართლის
ცხოვრების ვარიანტებში უკანასკნელი სამი სიტყვის მაგი-
ერ სწერია: „ყოვლისა ერისა ქართლისა: ათა“ 2).

4) ფრაზის მაგიერ „და მოეკებოდეს მდინარესა ზედა
დიდსა დდ: მარსასა“, რომელსაც ვპოულობთ ყველა ნინოს
ცხოვრების ვარიანტებში და მარია: მის ვარიანტშიც, ვასტან-
გის რედაქციის ქართლის ცხოვრების ვარიანტებში. სწერია:
„მოეკებოდეს მდინარესა ზედა დიდსა და ღრმასა“ 3).

5) ფრაზის მაგიერ „ერნი... წარმავალნი დიდად ქალაქად
მცხეთათ“, რომელიც მოიპოვება ყველა ვარიანტებში, ვას-
ტანგის რედაქციის ქართლის ცხოვრების ვარიანტებში სწე-
რია: „ერნი... წარმავალნი დედად-ქალაქად მცხეთად“ 4).

1) იხ. ქვემოთ გ. 4, შენიშვნა 1 და აგრეთვე ქართლის
ცხოვრება. გ. 64.

2) იხ. ქვემოთ, გ. 56, შენ. 2 და ქარ. ცხ. გ. 94.

3) იხ. ქვემოთ გ. 7, შენ. 1 და ქარ. ცხ. გ. 66.

4) იხ. ქვემოთ გ. 19, შენ. 2.

6) ამას გარდა საერისთაონის სასკელუბი მარია დედოფლის ვარაიანტის სრულიად ეთანსმება შიო-მღვიმის და იოანე ნათლის მცემლის ვარაიანტებს, ხოლო ვასტანგის რედაქციის ქართლის ცხოვრების ვარაიანტებში განსსკავდებთან 1).

სსენებული მაგალითები საკმაოდ მიგვანინა, რომ ვასტანგის რედაქციის კვალი ქართლის ცხოვრებაში შეტანილს წმინდა ნინოს ცხოვრებაშიც ვიცნათ.

სასოგადოთ ყველა აქამომდე ცნობილს წმიდა ნინოს ცხოვრების ვარაიანტებზე უნდა შეგნიშნოს, რომ მათში განსსკავებანი მოიპოვებანი მხოლოდ ზოგიერთ სიტყვებში და იშვიათათ ფრაზებში. სსკაფრივ კი ყველა ერთი ღივიუე სსსიათით არის აღნიშნული, ყველა ერთკვარდაარის თაგებათ დაყოფილი, სსსიათი მოთსრობისა ყველაში ერთგვარია და ყველას ერთი და იმავე რედაქციის სელი ატყუია. ხოლო ქართლის მოქცევაში მოთსრობილი ნინოს ცხოვრება ძრიელ თვალსაჩინოთ განსსკავდება ყველა აქამომდე ცნობილ ნინოს ცხოვრების ვარაიანტებისგან, მაგრამ ჩვენ შეუძლებლათ დავინახეთ ყველა განსსკავებანი დაწვრილებით აღგენიშნა ამ ასალ ვარაიანტის და სსკა აქამომდე ცნობილის ვარაიანტებთან შორის. შეუძლებლათ დავინახეთ მიტომ, რომ ამ შემთსკევაში მთლათ უნდა დაგვებეჭდა სსკა ვარაიანტების ტექსტი, რადგანაც რათე განსსკავება თითქმის ყოველ ფრაზაში მოიპოვება. აქამომდე ცნობილ ნინოს ცხოვრების ვარაიანტებს ის ძველი ფორმები სიტყვებისა და ძველი მართლწერა, რომ-

1) იხ. ქვემოთ გ. 6, უნ. 1.

ლითაც აღბეჭდილია ქართლის მოქცევა, უმეტეს შემთხვევაში დიუკარგავთ. სიტყვების რიგი ფრაზებში და ფრაზებისა შარავრატში სსვა ვარინტებში შედარებით ქართლის მოქცევასთან არეულია. სშირათ სსვა ვარინტებში ზოგიერთი ფრაზები მიმტებულია, ზოგიერთი კლია და ზოგიერთ შემთხვევაში ასრი უფრო ბეკრი სიტყვებით არის გამოთქმული, ვიდრე ქართლის მოქცევაში.

ჩვენ აღნიშნეთ მსოლოთ უმთავრესი განსსვაკებანი თავებში, შარავრატებში, ტექსტის მეტ-ნაკლებობაში, მოთსრობის ხასიათში, ფრაზებში და სიტყვებში. საუურადლე. ბო რაც იყო არათერი გამოგეიშეია. დაწვრილებით ცნობეს ამ განსსვაკების შესასებ მეთთველი ტექსტის შესინშენებიდგან შეიტყობს. აქ აღნიშნეთ მსოლოთ უმთავრესს მათგანს.

1) ტექსტი ნინოს ცხოვრებისა ქართლის მოქცევაში გაყოფილია 14 თავათ, მარამ სათვალავი თავებისა იწეებან მეოთხე თავიდგან და წინა მეოთხ სამ თავს სათვალავი არ უზის. სათაურების მისეღვით უნდა ვიგულისსმოთ, რომ შირველ თავს შეადგენს ქართლის მოქცევის სრონიკა 1), მეორეს შესვალდი ნინოს ცხოვრებისა (იხ. ჭეკოლოთ, გ. 1—4) და შესამეს ნინოს ცხოვრება სალომე უყარმელის თქმულებამდე (გ. 4—9). სსვა აქამომდე ცნობილ წმიდა ნინოს ცხოვრებებში თავები და მათი სათვალავნი არ არიან აღნიშნულნი. მსოლოთ ზოგიერთ მათგანში ნახეკენ-

1) იხ. სამი ისტორიული სრონიკა; გ. 1—39.

ზია მარტო მეშვიდე თავი 1), მაგრამ შინაარსი მისი არ ეთანხმება ქართლის მოქცევის მეშვიდე თავს 2).

2) რიგი და წესი სტატიათა, ანუ სსვა და სსვა პირის თქმულებათა ქართლის მოქცევაში სულ სსვა არის, ვიდრე აქამომდე ცნობილ ნინოს ცხოვრების ვარიანტებში. ამას გარდა ზოგიერთი სტატია, რომელიც სსვა ვარიანტებში ერთი სათაურით არის აღნიშნული, ქართლის მოქცევაში რამოდენიმე თავათ არის გაუთფილი, და წინააღმდეგადაც, რაც ქართლის მოქცევაში ერთ თავათ არის ნაჩვენები, სსვა ვარიანტებში სსვა და სსვა თავებად არის დაუთფილი და სსვა და სსვა სათაურებით არის აღნიშნული 3).

3) სსვა ვარიანტებში ცხორება ნინოსი მოთხრობილია მესამე პირით, სოლო ქართლის მოქცევაში პირველი პირით. ნინო თვითონ მოგვითხრობს თავის და თავის მშობლების ამბავს.

4) ავტორები ზოგიერთ თქმულებათა, რომელნიც ნაჩვენებნი არიან ქართლის მოქცევაში, არ ეთანხმებიან სსვა ვარიანტებში აღნიშნულ ავტორებს. თქმულება, რომელსაც სსვა ვარიანტები აბათარს მანწერენ, ქართლის

1) მეშვიდე თავი ნაჩვენებია შიო-მღვიმის, ნათლის-მცემლის, მარიამ დედოფლის და თეიმურაზის ვარიანტებში.

2) იხ. ქართლის ცნ. გ. 86, შენ. 1, და ქვემოთ, გ. 29, შენ. 1; გ. 35, შენ. 1.

3) იხ. ქვემოთ მე-10, 20, 44, 49, 55, 63 გვერდების პირველი შენიშვნები და მე-54, 72 გვერდების მეორე შენიშვნანი.

მოქცევაში აღნიშნულია სიდონიას ნათქვამად ¹⁾. მოთხრობას „პატიოსანისა ჟვარისათვის“ ქართლის მოქცევა მიაწერს იაკობს ²⁾, რომელიც უნდა იყოს იაკობ მღვდელი, საბერძნეთით მოსული. სსვა ვარნიანტებში იაკობი აჩავითარი მოთხრობის ავტორათ არ იხსენიება. მეგრე თავი, რომელსაც ქართლის მოქცევა მიაწერს სიდონია დედაგაცს, სსვა ვარნიანტებში ცნობილია აბითარის ნათქვამად ³⁾.

5) ზოგიერთი სტატიები, ან სტატიის ნაწილები, რომელთაც ჩვენ ქართლის მოქცევაში ვხედავთ არ მოიპოვებინა სსვა ვარნიანტებში. ასეთნი არიან: 1) შესავალი ნინოს ცხოვრებისა (გ. 1); 2) პირველი ორი გვერდი მეშვიდე თავისა (29—30); 3) დასაწყისი პატიოსანი ჟვარის აღმართებისა (60—63); 4) წიგნი, რომელიც დაუწერია შირენ მეფეს თავის სიკვდილის წინ (68—79) და 5) ზოგიერთი სტრიქონები სსვა და სსვა ადგილას (იხ. მაგალითათ, მე-3, 54, 14, 34 გვერდების პირველნი შენიშვნები).

6) თავის მხრით სსვა ვარნიანტებშიც მოიპოვებინა ისეთი მოთხრობანი, რომელთაც ჩვენ ვერ ვპოულობთ ქართლის მოქცევაში ⁴⁾. ესენი არიან: 1) წერილი ნინოსი, რომელიც ვითომ მას თავის სიკვდილის წინ გაეგზავ-

¹⁾ იხილეთ ქვემოთ გ. 35, შენ. 1 და გ. 51, შენ. 1,

²⁾ იხ. ქვემოთ. გ. 36—40 და მეორე შენ. მე-40 გვერდისა.

³⁾ იხ. გ. 55, შენ. 3

⁴⁾ შეიძლება, რომელიმე მათგანი ერთ-ერთ დაპარგულ ფურცელზე ყოფილიყო.

ნოს კასეთიდგან მიჩიანისადმი დედოფლის სუჯის ხელით 1). 2) ვრცელი ამბავი კეისრისათვის ცოლის მუხისა და თრდატ სომესთა მეფისაგან ნინოს თანა-მოგზაურების წამებისა 2) და 3) ზოგიერთი სტრიქონები და ფრაზები სსკა და სსკა ადგილას 3).

7) იესო ქრისტეს ცხოვრებას, ქადაგებას და წამებას სსკა ვარიანტები მიაწერენ ადერკის დროს, ხოლო ქართლის მოქცევა — მეფე ამასაერის დროს.

8) ქრონოლოგიური ცნობები ქართლის მოქცევაში მეტია საზოგადოთ, ვიდრე სსკა ნინოს ცხოვრების ვარიანტებში და ქართლის ცხოვრებაში, მაგრამ ეს ცნობები აქც ისე არეულია, ისე ეწინააღმდეგებიან ერთი ერთმანეთს, რომ ძნელია გადაჭრილი აზრის შედგენა, რომელ წელს ეგუთუნა მასში მოხსენებული ფაქტები. ყოველ შემთხვევაში ჩვენ საჭიროთ ვრაცხთ ერთათ შემოკრიბოთ ეს ცნობები, შევადროთ ერთი ერთმანეთს და განსხვავებანი აღვნიშნოთ.

ქართლის მოქცევის სრონიკა კოსტანტინე ბერძენთა მეფის მტერებთან ბრძოლას მოიხსენიებს 310 წელს ქრისტეს მალღებიდგან და ამ წლიდგან აღრიცხავს სსკა ხა-

1) იხ. ქვემოთ გ. 1, შენ. 2, და საქართველოს სამოთხე, გ. 149—150).

2) იხ. გ. 13, შენ. 1 და ქრ. ცხ. გ. 69—71.

3) იხ. გ. 43, შენ. 1, გ. 50, შენ. 1, გ. 72, შენ. 3; გ. 73 შენ. 2.

ყურადღებო სჯმეების წელსაც ¹⁾). მეათეს წელს ამ წლიდგან (310+10=320) ნაჩვენებია ელენე დედოფლის გამგზავრება პატროსანი ჯვარის მოპოვებისათვის ²⁾, და მკათოთსმეტე წელს (310+14=324) აღნიშნულია ნინოს და მისი თანამოგზაურების წამოსვლა საბერძნეთით სომსეთს და მერმე საქართველოში ³⁾).

ქადაგება დაიწყო ნინომ მეათესეს წელსა ქართლად

¹⁾ იხ. სამი ისტორიული ხრონიკა, გ. 12. აქ ლაპარაკი უნდა იყოს კოსტანტინეს და მაქსენცის ბრძოლის შესახებ. უკანასკნელი დაამარცხა პირველმა 312 წელს ქრისტეს შობის შემდეგ. საჭიროთ მიგვაჩნია აგრეთვე შევნიშნოთ, რომ ის რასაც ქართლის მოქცევა ქრისტეს ამალღებიდგან უჩვენებს, ზვან ქრისტეს და აღღებიდგან უნდა ვიანგარიშოთ. ამგვარი მოვლენა ძრიელ ნშირაა ჩვენს ძველ წყაროებში. ქრისტეს დაბადებიდგან სათვალავის მაგიერ ქრისტეს ამალღებიდგან თვლა ჩვეულებრივით გადაქცეულა, თუმცა ანგარიშით წელთა აღრიცხვა ყოველთვის ქრისტეს დაბადებიდგან გამოდის. მაგალითათ, აქ რომ მართლა 310 წელი ქრისტეს ამალღებიდგან ვიანგარიშოთ, გამოვა 343 წელი ქრისტეს დაბადებიდგან, რადგანც ქრისტეს დაბადებიდგან ამალღებიდგან 33 წელია გასული. ხოლო 343 წელს კოსტანტინე ცაცხალი არ ყოფილა (პიიცვალა 337 წ). ქვემოთ ჩვენ ამგვარ მოვლენას აღარ აღვნიშნავთ, თუმცა ვიწშირათ შევხებით.

²⁾ *ibid.* გ. 13. ელენემ ჯვარი აღმოაჩინა ლეოსს გამოანგარიშებით 327 წელს. და ფლერის ანგარიშით 326 წელს (იხ. *Hist. de la Géor.* t. I, p. 120. n. 4).

³⁾ *ibid.* გ. 13. ეს წელი, როგორც, ეტყობა ნინოს ქართლად მოსვლის დროთ არის ნაჩვენები, ვინაიდან ქვემოთ ნინოს საბერძნეთით გამოგზავრება 319 წელს მოიხსენიება.

მოსკლიდგან (324+4=328), ნანა დედოფალს აწმუ-
ნა ღმერთი მეექვსესა წელსა (324+6=330) და მირიანს
აწმუნა მეშვიდესა წელსა (324+7=331) ¹.

ნინო მიიტვალა ქართლად მოსკლიდგან მეათხუთმე-
ტესა წელსა (324+15=339), დასაბამიდგან 5838-სა ღ.
ქრისტეს ამაღლებიდგან 338 ²). „*ՀԿԾ*“-ს. 1935
16/17.

¹) იხ. სამი ისტორიული ხრონიკა გ. 15.

²) *ibid.* გ. 20—21. დასაბამიდგან 5838 წელი ეთან-
ხმება 338 წელს ქრისტეს დაბადებიდგან (და არა ამაღლებიდ-
გან) ალექსანდრიული სათვალავით, რომელიც დასაბამითგან
ქრისტეს შობამდე ხადის 5500 წელს. ეს სათვალავი ზოგო-
ერთ სხვა ჩვენს ხელნაწერებშიაც არის მიღებული (იხ. Brosset:
Etudes de chronologie technique. Mémoires de l' Aca-
démic... VII série, № 13, p. 2, 10. და ჩემი აღწერა წერა-
კითხვის გამაგრებელი საზოგადოების ბიბლიოთეკისა გაზ.
„ივერია“ 1890 წ. № 29). ნინოს ქართლად მოსვლა, რო-
გორც უჩვენეთ, 324 წელს მოიხსენიება. თუ ამას მიუმატებთ 15.
წელს გამოვა 339 წ., რომელიც არ ეთანხმება დასაბამითგან
და ქრისტეს დაბადებიდგან ნაჩვენებ წელს.

ქართლის ცხოვრებაში მეათხუთმეტე წლის მაგიერ მეა-
თმძმეტე წელი სწერია (იხ. ქარ. ცხ. გ. 99), მხოლოდ
შემოკლებული სომხურათ ნათარგმნი ქართლის ცხოვრება, ანუ
როგორც უწოდებენ *Chronique arménienne* ნინოს სიკვილს.
მოიხსენიებს 332 წელს ქრისტეს ამაღლებიდგან, 5832-ს
ადამის სამოთხიდგან გამოსვლის შემდეგ და ნინოს ქართლად
მოსკლიდგან მეათხუთმეტე წელს (იხ. ბროსეს *Additions*-ში.
გ. 32). ეს მეათხუთმეტე წელი ქართლად მოსკლიდგან, რომე-
ლიც ქართლის მოქცევის ეთანხმება, ცხადათ ამტკიცებს, რომ

ზემო ეკკლესია ჯღაშენეს და მირეან ქუეე მიიტყვალა მეოთხესა წელსა (უნდა ვიგულისსმოთ ნინოს მიტყვალე-ბიდგან $(338+4=342)$ 1.

ქველათ ქართლის ცსოვრებაშიც მეთხუთმეტე წელი წარებულა, მაგრამ მერმე გაუხიით მეთოლხმეტე წლათ დასაბაძითგან და ქრისტეს იმალღებიდგან წლების შესათანხმებლათ.

1) *ibid.* გ. 21, თუ ნინოს მიტყვალებას 339 წელს მივი-ღებთ, მაშინ მირიანის სიკვდილი 343 წელს უნდა აღვნიშნათ, მაგრამ, ჩვენის აზრით, უფრო შესაწინარებელი 338 წელია, ვინაიდან ამ წელს ეთანხმება დასაბაძითგან წელთ-აღრიცხვა, როგორც ზემოთუჩვენეთ.

ქართლის ცხოვრება მირიან მეფის და მისი შვილის რევის სიკვდილს ქართლის მოქცევიდგან ოცდა მესუთე წელს მოიხსენიებს, ხოლო *Chronique arménienne*-ი მე-34-ს და ერთი ქართლის ცხოვრების ვარიანტი მე-35 წელს (იხ. *Hist. de la Géor. t. I, p. 131, n. 1*). როდის იყო ქართლის მოქცევა, ნინოს ცხოვრება პირ და პირ არ უჩვენებს, მხოლოდ მირიანის მოქცევის შემდეგ, რომელიც ნაჩვენებია მეშვიდე წელს ნინოს ქართლად მოსვლიდგან, ესე იგი 331 წელს ($324+7=331$), მოხრობილია მოცქეულის გაგზავნა საბერძნეთს, კოსტანტინე მეფის წინაშე, და საბერძნეთით მოსვლა ზღაღღლთა და დიაკონთა და შემდეგ მათი მოსვლისა მოსათელა ხალხისა. ამ მისვლა-მოსვლაში ერთი წელი მაინც გავიღოდა და ამისთვის ქართლის მოქცევა დაახლოვებით 332 წელს უნდა ყოფილიყო. თუ ამ წელს მიუმატეთ 25 წელს, გამოვა 357 წელი, ესე იგი დრო რევის და მირიანის სიკვდილისა ქართლის ცხოვრების ცნობით. ჩვენ ქვემო დაკინახეთ, რომ რევის სიკვდილი სხვა დროს არის ნაჩვენები ქართლის მოქცევაში.

ნანა დედოფალი მიიწვალა მეორესა წელსა მირიანის სიკვდილიდან (312+2=314) 1.

ოცდა მესამესა წელსა ვავრას აღმართებიდან მოკვდა რეკე მე მირიანისი 2)

რეკის სიკვდილის შემდეგ მეათესა წელსა პაატა მე-

1) იხ. სამი ისტორიული ხრონიკა, გ. 22. ქართლის ცხოვრებაჲ ნანას სიკვდილს შიხსენებს მეორე წელს მირიანის სიკვდილია, მაგრამ თუთ მირიანის სიკვდილს, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, სწავ დროს უჩვენებს (-ხ. ქრ. ცხ. გ. 101).

2) ibid. გ. 22. როდის აღმართეს პატროსანი ჯვარი, გარკვევით არა სჩანს ქართლის მოქცევიდან (ეკ შეიძლება იმ ფურცელზე იყო ნაჩვენები, რომელიც აკლია ქართლის მოქცევის ხრონიკას. იხ. გ. 17), მაგრამ მოხრობიდან ეტეობა, რომ ზღინის მოქცევის შემდეგ, დაუუნებლივ შესდგომიან ჯვარის მოწმადებას, ასე რომ ძრიელ საჭეშმარიტოა ქართლის მოქცევა და პატროსანი ჯვარის აღმართვა ერთ და იმავე წელს მივაწეროთ. თუ ამ მოსაზრებას მივიღებთ, რეკის სიკვდილი 355 წ. უნდა ყოფილიყო (332+23=355).

მაგრამ ამას არ ეთანხმება ცნობა პატროსანი ჯვარის ხის მკვეთის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ ხე ჯვარისათვის მოკვეთესო 25 მარტს პარასკევს დღესო (იხ. ქვემოთ გ. 56). 25 მარტს პარასკევი დღე შეხებუება, ბროსსეს შენიშვნით, 315, 320, 326, 337 წლებში. არც ერთი ამ წელიწადთანია არ ეთანხმება არც ზემო მოკვანილ ცნობებს და არც ბროსსეს ანგარიშს, რომელიც ქართლის მოქცევას ვსადის 328 წელს, 320 წელი თითქო უფრო ეთანხმება ვახუშტის ცნობას, რომელიც ქართლის მოქცევას უჩვენებს 317 წელს. ხოლო 326 წელი უდრის იერუ-

ფემ წილენის ეკლესიის შენება დაიწყო და გაათავა და თვითონაც მიიტვალა მე.35 წელსა 1).

კათალიკოზონა განაწესა ვახტანგ გორგასლანმა 170 წლის შემდგომად ქართლის მოქცევისა 2).

ნინოს ცხოვრების ცნობით დასაბამითგან ქრისტეს დაბადებამდე გასულა 5,100 წელი, ქრისტეს შობიდან ვკარც-სამდე 33, ვკარცმიდგან კოსტანტინე იერემსთა მეფის მოსათვლამდე 311 და 14 წლის შემდგომათ (311+14=325) ნინო მოსულა საქართველოში 3) მეექვსე წელს ქართლად

სალიმის ფარის გამოჩინებას, რომელიც, როგორც შევნიშნეთ, უნდა ყოფილიყო 28 მაისს 326, ან 327 წელს (Hit. de la Géor. t. I, p. 124, n. 4).

1) იხ. სამი ისტორიული ხრონიკა, გ. 22-23. თუ ზემო შენიშვნაში ნაჩვენებ 325 წელს მივიღებთ რევის სავდელს დროთ, წილენის ეკლესიის დაწყება უნდა მიეწეროს 365 წელს, ხოლო განსრულება და ბაჟურ მეფის გარდაცვალება 380 წელს.

2) იხ. სამი ისტორიული ხრონიკა, გ. 29. ქართლის მოქცევა ჩვენ აღვნიშნეთ 332 წელს, მაშასადამე კათალიკოზის განწყობა უნდა მომხდარიყოს 502 წელს.

3) იხ. ქვემოთ ნინოს ცხოვრება, გ. 30. დასაბამიდან ქრისტეს დაბადებამდე 5100 წელი მართა აქ არის ნახმარი და სხვა წყაროებში ჩვენ არ შეგვხვედრია. ქართული სათავადავით დასაბამითგან ქრისტეს შობამდე გასულა 5604 წელი, პერძელით 5504 და ალექსანდრიელით 5500. უკანასკნელი სათავადავით შემოთავადავით არის ნახმარი, როგორც შევნიშნეთ. 33 წელი ქრისტეს დაბადებამდე ვკარცამდე ნანდვილათ არის ნაჩვენები. ხოლო კოსტანტინეს მონათვლის შესახებ უნდა შევნიშნ-

მოსკლიდგან ნინოს ურწმუნებია ღმერთი ნანა დედოფლისთვის (325+6=331) ¹.

მეორე ადგილას ნინოს ცხოვრება კოსტანტინე ბერძენთა მეფის მოქცევას მოიხსენიებს 311 წელს ქრისტეს ამაღლებიდან და 5444 წელს დასაბამიდან; ნიკეას კრებას მით უამითგან მეშვიდესა წელსა (311+7=318) და ნინოს თავის მოგზაურებითურთ საბერძნეთით გამოძგზავრებას მერვესა წელსა (311+8=319) ².

ნოთ, რომ ჩვენ წყაროები მის მონათვლას დროს უოველთვის 311 წელს უჩვენებენ. ეს წელი რასაკვირველია, თუ ქრისტეს დაბადებიდან ვიანგარიშეთ, ძრიელ ახლოა იმ წელსზე, როდესაც კოსტანტინემ მაქსენიცი დაამარცხა (312) და ქრისტიანთათვის თავისუფლებით მათი სარწმუნოებას აღვიარება გამოაცხადა (313). ამას შედეგ კოსტანტინეს ქრისტიანათ ნადიან ჩვენი წყაროები, თუმცა ნანდვილ-კი კოსტანტინემ სიკვდილის წინ მიიღო ქრისტიანობა (გადაიცვალა 337 წელს).

ნინოს ქართლად მოსულა 325 წელს გამოდის. ზემოთ მისი მოსვლის წლათ 324 წელი იყო ნაჩვენები, როგორც შევნიშნეთ.

თუ ამ წელს მივიღებთ ქართლად მოსვლის წლად, მაშინ ვველა ის აზრები, რომელნიც ზემოთ უჩვენეთ, ერთი წლით გვიან უნდა უჩვენოთ.

¹) იხ. ქვემოთ ნინოს ცხოვრება, გ. 36. თუ ნინოს საქართველოში მოსვლის დროთ 325 წელს მივიღებთ, მაშინ ნანას მოქცევა 331 წელს უნდა ეკუთვნოდეს და მირიანისი 332 წელს, რადგანაც ზემოთ იყო შენიშნული რომ მირიანს მეშვიდე წელს არწმუნა ქრისტეო.

²) იხ. ქვემოთ, გ. 14. 5444 წელი დასაბამითგან ეთანხმება 311 წელს ქრისტეს ამაღლებიდან, თუმც ზემო აღნიშნულს სათვალავს მივიღებთ: $5100 + 33 + 311 = 5444$.

უველა ზემო ჩამოთვლილი ცნობებიდან მეითსველი ადვილათ დაინახავს, რომ დრო ფაქტებისა ნინოს საქართველოში შემოსვლაზეა დაბეჭდული, მაგრამ ეს შემოსვლა პირველათ ნაჩვენებია 324 წელს და შემდგომათ 325-ს. ამისათვის ჩვენ უველა ზემოსხენებულ ფაქტებს ორ ორი ციფირით აღვნიშნავთ. პირველი იქნება დაბეჭდული 324 წელზე და მეორე 325-ზე.

ნინოს საქართველოში შემოსვლა.	324—325 [✓]
ქადაგება დაიწყო ნინომ.	328—329 [✓]
ნანა დედოფალს არწმუნა ქრისტე.	330—331 [✓]
მირიან მეფეს არწმუნა —	331—332[✓]
ქართლი მოიქცა ღმერთისა და ჯვარის აღმართეს.	332—333
ნინო მიიტყვალა.	339—340
მირიან მეფე მიიღო ღმერთისა და ჯვარისა.	343—344
ნანა დედოფალი მიიტყვალა.	345—346
რევი მიიტყვალა.	355—356
წილგნის ეკლესიის შენება დაიწყო.	365—366
ბაკურ მეფე მიიტყვალა და წილგნის ეკლესიის შენება დაიწყო.	380—381
კათალიკოსობა განაწესეს.	502—503

ნიკეას კრება იყო 325 წელს და არა 318. საყურადღებოა, რომ სხვა ჩვენი წყაროებიც ხშირად ნიკეას კრებას ამავე 318 წელს მოიხსენიებენ.

ნინოს გამომგზავრება საბერძნეთითაჲ ნაჩვენებია 319 წელს, მაშასადამე მის წამოსვლიდან ქართლად მოსვლამდე გასულა 6 წელი, თუმცა მოსვლას 325 წელს მივაწერო, და სეთი, თუმცა ვლის წლათ 324 წელს მივიღებთ.

ეს არის უმთავრესი ქრონოლოგიური ცნობები, რომელთაც გვაძლევს ქართლის მოქცევა.

განსვავებანი ამ ახალ ვარიანტის და სხვა აქამომდე ცნობილ წმიდა ნინოს ცსოვრებათა შორის, რომელნიც ზემოთ მოკლეთ აღნიშნეთ, ძალაუნებურათ ჭბადავენ ჩვენში კითხვებს, რომელი ვარიანტი უფრო ძველი: ქართლის მოქცევისა თუ ის, რომელიც აქამომდე იყო ცნობილი და რომელიც შეტანილია ჩვენ მიერ მოხსენებულ აკადემიის მანუსკრიპტში, ქართლის ცსოვრებაში, იოანე ნათლის-მცემლის და შიომღვიმის ქართველთ წმიდა მამათა ცსოვრების სელნაწერებში და სხვებში? და თუ ქართლის მოქცევა უფრო ძველი, ვინ გადააკეთა ეს ვარიანტი ისე, როგორც: აქამომდე იყო ცნობილი?

რაც შეეხება პირველ კითხვას, ეპკ გარეშეა, რომ ქართლის მოქცევის ვარიანტი უფრო ძველია აქამომდე ცნობილ ვარიანტებზე. როდის არის შედგენილი ქართლის მოქცევა, არ ვიცით და გადაჭრით ამასე ღაპარაკი არ შეგვიძლია, მაგრამ თვით ქართლის მოქცევის სრონიკის სასიათმა და ზოგიერთ სხვა გარემოებამაც ჩვენ იმ მოსაზრებაზე მიგვიყვანა, რომლითაც ქართლის მოქცევის შედგენა მეშვიდე საუკუნის უნდა ეკუთვნოდეს ¹⁾. ესეც რომ არ იყოს, სიმკვლე სელნაწერისა, რომელშიაც მოიპოვება ქართლის მოქცევა და რომელიც ეკუთვნის მეათე საუკუნეს, გილო მოთხრობისა, ძველი გრამმატიკული ფორმები ენისა

¹⁾ ამის შესახებ ჩვენი აზრი ახალ ჩვენს „სამ იტორიულ სრონიკაში“, გ. XCI—XCVII.

და უცხო ტომთ მწერლების არა-გავლენა ამ ვარიანტიზე —
საკმაოთ ამტკიცებენ სიძველეს ქართლის მოქცევის ვარიან-
ტისა. როგორც ქართლის მოქცევის ხრონიკა უფრო ძვე-
ლია ქართლის ცხოვრებაზე, ისე ეს ნინოს ცხოვრებაც
უფრო ძველია მეორე ვარიანტზე, რომელიც აქამოდე
იყო ცნობილი ¹⁾. ქართლის მოქცევის სრონიკა მეცხრე
საუკუნემდის არის მოყვანილი, და თუ მისი შედგენა მე-
შვიდე საუკუნეს არ ეკუთვნის, როგორც ჩვენ გვგონია,
ყოველ შემთხვევაში მეცხრე საუკუნეს აღარ გადასცილდება.
ხოლო აქამოდე ცნობილი ვარიანტი ნინოს ცხოვრებისა,
როგორც ვიცით, შედგენილია შეთე საუკუნეში არსენ კათა-
ლიკოსის მიერ. ეს არსენ კათალიკოსი იხსენიება თვით იმ ძველ
ქართველთ მამათა ცხოვრებაში, რომელიც აკადემიას ეკუთვნის.
ხსენებულ ხელ-ნაწერში იქ სადაც თავდება ცხოვრება იოანე
ზედა-ზადუნელისა მოხსენებულა, რომ წმიდა კათალიკოსმა
არსენი 404 წლის შემდეგ სირიელ მამათა მოსვლისა შეკ-
რება გარდმოცემანი მათ შესახებო და თავდაპირველი შემ-
დგენელი მათი ცხოვრებისა ხელ-მძღვანელობდა დაწერილი
წიგნებით და ზეპირ-გადმოცემებით ²⁾. საბრეღნი მამანი
მოვიდენ საქართველოში ფარსმან მე-VI-ის დროს (542—

¹⁾ რომ ქართლის მოქცევა უფრო აღრეა შედგენილი
ვიდრე ქართლის ცხოვრება, ეს სხვათა შორის უეჭველი ხოება
იპითაც, რომ ქართლის ცხოვრება „ქართლის მოქცევას“ თაის
წყაროთ უჩვენებს (იხ. ჩუპი საბი ისტორიული ხრონიკა, გვერდი
LXXX—LXXXII).

²⁾ იხ. Hist. de la Géor. t. I, p. 203, n. 6. და
ქართლის ცხოვრება, ტ. II, გ. X და XX. პლატონ იოსელი-

557); თუ ამის მეფობის დროს მიუმატებთ 402 წელს, გამოვა მათესაუკუნის მეორე ნასვეარი, ესე იგი ის დრო, როდესაც არსენ კათალიკოსს შეუდგენია თავის ქართველთ შიშათა ცხოვრება. სხვა წყაროებში ეს არსენ კათალიკოსი ცნობილი არ არის. იქნება ეს ის არსენია, რომელითაც თავდება სია კათალიკოსთა ქართლის მოქცევის სრონიკა. ში 1), მაგრამ რადგანაც ნაჩვენები არ არის, რომელი კათალიკოსი რა დროს, ან ვის მეფობის დროს ცხოვრობდა, ამისთვის ამაზე გადაჭრით ლაპარაკი არ შეგვიძლია.

არსენ კათალიკოსს ახლად არ შეუთხზავს ქართველთ შიშათა ცხოვრება, არამედ წინეთ მოკლეთ აღწერილ მათი ცხოვრება გადუკუობია და განუგრცია. ამისათვის იოანე ზედა-ზადენელის, აბიბოს ნეკრესელის და ზოგიერთ სხვა წმინდანების ცხოვრებას ყველა სელ-ნაწერში სათაურის ქვემოთ უწერია: „განახლდა და განავრცო წმიდამა შიშამან ჩუზნმან ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოსმან არსენი“.

ასეთი განახლება და განავრცობა წმინდანების ცხოვრებისა საზოგადო მოვლენაა ყველა ქრისტიანის ხალხების შწერლობაში და ჩვენშიც შირველი მაგალითი არ არის.

ანი, არ ვიცით რა სახელით, მაგრამ ქართველი წიდა მამთა ცხოვრების ავტორათ კხადის არსენ იუალითოვლს, რომელიც ილა მოძღვარი დაკით აღაშენებელსა (1089—1125) ნახ. *Жизнеописание святых прославленных православною грузинскою церковью. Тифлиса. 1850 г., стр. 26. прим. 22).*

1) იხილეთ სია კათალიკოსთა ამ გამოცემა დაშატებაში.

არსენის გარდა ზოგიერთი წმიდანის ცხოვრების გადაკეთება ეგუთვნის ბესარიონ კათალიკოსს, რომელიც ცხოვრობდა ვასტანგ VI დროს და რომელიც გარდაიცვალა 1735 წელს. ამ ბესარიონმა შეკრიბა ის სრული მამათა ცხოვრება, რომელმაც ჩვენამდის მოაღწია ¹⁾. უკანასკნელათ ქართველთ წმიდა მამათა ცხოვრება განავრცო, ანუ როგორც თვითონ ამბობს „შეწმანა მღვდლის ძირაზებით“ ანტონ I ქართლისა კათალიკოსმან, და უწოდა „მარტირიკა“ ²⁾. ამგვართ ჩვენ სამი სსვა და სსვა დროის და სსვა და სსვა პირის კრებული ეკაქს ქართველთ წმიდა მამათა ცხოვრებისა და სამივეს თავ თავისი ღირსება და მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ თავ-და-პირველ შედგენილს ცხოვრებას აქვს, რომლიდანაც შემდეგ გადაუკეთებით და განუვრცით რომელიმე წმიდანის ცხოვრება. ამ თავ-და-პირველ დედან-ში მოიპოვება სოლმე უფრო ნაწილი ისტორიული ფაქტები და ეს თავ-და-პირველი დედანი ყოველთვის უფრო ახლოა ტემპარიტებსათან. სწორეთ ასეთი თავ-და-პირველი დედანია არსენ კათალიკოსის ნინოს ცხოვრების ვარიანტიზა ქართლის მოქცევის ვარიანტი. ამ ქართლის

¹⁾ იხ. ქ. ცნ. ტ. II, გ. XX და წუხოილ-ს-ტყვაობა ანტონ კათალიკოსისა, გ. 219, შენ.

²⁾ იხილეთ წინა-სიტყვაობა ანტონ კათალიკოსის მარტირიკისა.

ქართველთ წმიდა მამათა ცხოვრების ყოველ მკრივ შესასწავლათ საჭიროა ამ სამივე კრებულის ცალ-ცალკე გამოცემა.

მოქცევიდგან თავისებურათ გადაუკეთებია არსენს თავისი შრომა. რაც ქართლის მოქცევაში თავში იყო მოქცეული, ის ბოლოში მოუქცევია; პირველი პირის მოთხრობა მესამე პირისათ გაუსდია, ასე რომ ნინოს თავისი პირით ვიდარ აღაშარაკებს არსენი, არამედ თვითონ ღაშარაკობს ნინოზე ნინოსავე სიტყვით. ამას გარდა არსენს ზოგიერთი შარგრათები თავ-და-პირველი მოთხრობის გამოშვია, ზოგიერთი მიუმატებია, ფრაზები განუვრცია და სიტყვები განუასლებია. ერთი სიტყვით მოუსდენია ყველას ის ცვლილება, რომლითაც აქამომდე ცნობილი ვარიანტი ნინოს ცხოვრების განიჩევა ქართლის მოქცევის ვარიანტისგან და რომელიც ცოტა თუ ბევრათ ჩვენ შემოთავსუჩვენეთ და შენიშვნებშიაც შევითანეთ.)საუურადღებობის მოვლენაც, რომ არსენი ჩვენი განმანათლებელის ცხოვრების მოთხრობაში მარტო ქართლის მოქცევის თქმულებით არ ემაუთფილდება და შემოაჭვს სომეხთ მწერლის აკათანგის ისტორიიდან ვრცელი ამავი დეოკლიტიანეს კეისრისთვის ცოლის ძებნისა, სომეხთ მეფის ტირიდატისაგან-დევნა და წამება წმ. რიფსიმესი და მისი თანამოგზურებისა და აგრეთვე ეშვად ქცევა ტირიდატისა. ეს ამავი ქართლის მოქცევაში სრულებით არ მოიპოვება და მოყვანილია მხოლოდ არსენის ნინოს ცხოვრების ვარიანტში¹). არსენი პირდაპირ წყაროსაც უჩვენებს, საიდანაც მას ამოუღია ეს ცნობები. შემოხსენებული ამბების ბოლოს უველა აქამომდე ცნობილს ნინოს ცხოვრების ვარიან-

¹) ნახე ქ. ცხ. გ. 69—71 და ქვემოთ გ. 13 უნ. 3.

ტეში სწერია: „სოლო ურჩ ექმნა რაჲ თარდატს საქმისა ამისთჳს წმიდაჲ რიფსიჲჲ, მასინ იწმა იგი მის მიერ წაშუბისა ღვაწლითა, მისთანა გაიანეცა, დედა-მსუჲ მისი, და სსვანი მრავალნი მათთანანი, ვითარცა იგი წერილ-არს წიგნსა-მას წამებისა მათისასა და გვეუწყებთან სასწაულნი იგი, რომელნი იქმნეს ჟამსა წამებისა მათისასა ¹⁾, მოქცევასა შინა სომეხთასა, რამეთუ განგუგითა ღუთასათა თრდატ მიუე ეშუად შეიცვალა“ ²⁾. სომესთ მოქცევა, ანუ ქრისტეს სჯუჭმუნებების დამყარება სომსეთში გრიგორ განმანათლებელის მიერ, აღუწერია აგათანგის, თრდატ ანუ ტირიდატ მეფის (IV სუჲ.) მწიგნობარს ³⁾. ეს წიგნი ძველათ ნათარგმნი ყოფილა ქართულ ენაზედაც ღ ათონის ივერიის მონასტრის წიგნების კატალოგში ნაჩვენებია შემდეგი სათაურით: „ცხოვრება წმიდისა მღვდელ-მოწამისა გრიგოლ სომსეთის ეპისკოპოსისა“ ⁴⁾. 1836 წელს, როდესაც შემოსსენებული კატა-

¹⁾ ეს ფრაზა სიტყვებიდან „და გუწუწყებან“... აქამომდე იქ ქართლის ცხოვრების ვარიანტებში, რომელოც ვანტანგის წინა-სიტყვაობა მიუძღვის, გამოშუგულია (იხ. ქ. ცხ. გ. 71) ხოლო მარიამ დედოფლის ვარიანტში და სხვა უველა აქამომდე ცნობილ ნინოს ცხოვრების ვარიანტებში არის.

²⁾ იხ. მამათა ცხოვრება, შიომღვიმის ხელ-ნაწერი, გ. 336).

³⁾ თარგმანი ამ წიგნისა იხილე ლანგლუას შრომაში „Collection des historiens anciens et modernes de l'Arménie“, t. I, p. 105—194.

⁴⁾ იხ. *Царями. Событія о нам. 711. писем.*

ლოგია შედგენილი, ეს წიგნი კიდევ უოფილად ათონის მთაზე, მაგრამ ესლა იქ აღარ მოიპოვება. უოკელ შემთხვევაში პროფესორი ცაგარელი მას თავის შრომაში არ მოიხსენიებს, და კერძ დ. ბაქრაძეს უნახავს ეს შრომა ათონის მთაზე უოფენის დროს ¹).

თუ უცხო ტომთ ისტორიის გავლენა წმიდა ნინოს ცხოვრებასაც კერ ასცილდა, მაშ რა გასაკვირალია, რომ მათი გავლენა უფრო მეტი იქმნებოდა ჩვენს ისტორიულ წყაროებზე. უველასზე უფრო ეს გავლენა ემჩნევა ქართლის ცხოვრებას. არ კიციით თვით არსენ კათალიკოსმა გადააკეთა ნანდვილი ქართული წყაროები ჩვენი ისტორიისა იმ რიგათ, რა რიგათაც ვახტანგის ადრინდელ დროის ქართლის ცხოვრებაში მოიპოვესიან, თუ სსკამ, მაგრამ ეგ კი საჭეშმარიტოთ მიგვაჩნია, რომ კიდასაც განზრახ მიუყვია ხელი ისეთი ქართული ცნობებისათვის, როგორიც ქართლის შემოქცევაშია შეტანილი, და ეს ცნობები ასე თუ ისე შეუცვლია და შეუქსია უცხო ტომთ ისტორიის მიხედვით. აქ რაღაც ტენდენცია გატარებული და განსაკუთრებით

დამატება პირველი — „ქართული წიგნების სახელები ივერიის მონასტერსა შინა მღებარეთა მთა-წმინდას“, გ. 7. აქვე მოყვანილია დასაწყისი ამ წიგნისა: „რაჟამს იგი სპარსთა მთავრობა პართად განიყო, ხოლო პართთა კელმწიფება ესოდენსა რა...“ ამავე ფრაზით იწყება აგათანგის ისტორია ლანგლუას თარგმანში.

¹) *ibid.* გ. 69 — 94 და ისტორია ბაქრაძისა, გ. 147 შენ. 2.

იმ გვარი ტენდენცია, რომელიც ვიილაფერ სსკისას, სსკა-
 ხალსისას, თავისას ამკობინებს, სსკის ისტორიას მალღათ
 აუენებს თავის.ზე და მას უკავშირებს ჩვენს ისტორიულ
 პირებს და ცნობებს. ეგ სურვილი იმოდენათ ძლიერია
 ქართლის ცხოვრების შემდგენელში, რომ ქართულ საკუ-
 თარ სასელესაც სსკა ენის დაბოლოებას აძლევს, თითქო
 ამით მეტი ფასი დაუდებოდეს ჩვენს ისტორიას (მაგალი-
 თათ, ქართლოს, უფლოს, მცხეთოს და სსკა ბერძნული
 დაბოლოებით არიან წარმოდგენილნი). ამ სურვილით ახს-
 ნება ის მოკლენაც, რომ ჩვენს მეფეებს ქართლის ცხოვ-
 რება უოველთვის უცხო ტომთ დინასტიას უკავშირებს და
 რომელი დინასტიაც ჩვენს მეზობლებს ჰყავს, ის დინასტია
 შემოჰყავს ჩვენშიაც. ამიტომაც ქართლის ცხოვრების შემად-
 გენელს აზო, არან ქართველთა მეფის შვილი, ბერძენათ
 გაუხდია, მირვან I სპარსათ, ანუ ნებროთიდათ გამოჰყავს,
 და არშაკ I—არშაკუნისათ, შირიანი, ქართველ მეფის
 ლევის შვილი,—სოსროიდათ, ანუ სასანიდათ, და გუ-
 რამ გურატპალატი—ბაგრატიდათ. მართალია, მირვან I-ის
 არშაკის და გურამის შესახებ ქართლის მოქცევა არავი-
 თარ ცნობას არ გვაძლევს, თუ ვინ იუენენ შთამომავ-
 ლობით და რომელ დინასტიას ეკუთვნოდენ, მაგრამ
 აზონის და შირიანის შესახებ მანც ლომ პირ-და-პირ
 უჩვენებს, რომ ისინი ქართველები და ქართველთა მეფის
 შვილები უოფილან. ვინ იცის, იჰნება მირვანი და არშაკ-
 კიც განკებ იუენენ დაკავშირებულნი უცხო ტომთ დინას-
 ტიებთან. ამ მოსაზრებას ისიც ხელს უწყობს, რომ არ-
 შაკ I, თუმცა სომესთ მეფის შვილათ ისენიება ქართ-

ღის ცხოვრებაში, მაგრამ სომხურ წყაროებში სრულეპით ცნობილი არ არის. (?)

რაც შეეხება კითხვას, თუ რომელ საუკუნეშია ეს ცნობები შეცვლილი, ანუ უკეთ გსტქათ, როდის არის ქართლის ცხოვრება შედგენილი, ამის შესახებ ვერ-ვერობით არაფერის თქმა არ შეგვიძლია. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ქართლის ცხოვრების შედგენა ყოველ შემთხვევაში არსენ კათალიკოსის დრინდელ დროს არ უნდა იკუთვნოდეს, ვინაიდან ქართლის ცხოვრებაში შეტანილი ნინოს ცხოვრება არსენის რედაქციისაა და არა ქართლის მოქცევის ვარიანტისა. რომ არსენის მიერ გადაკეთებული ნინოს ცხოვრება ყოფილა ძველათაც ქართლის ცხოვრებაში, ამას ამტკიცებს სომხურათ ნათარგმნი შემოკლებული ქართლის ცხოვრება ანუ Chronique arménienne ი, რომელშიაც ნინოს შესახებ ცნობებს ისეთივე ხასიათი აქვს, როგორც არსენის მიერ გადაკეთებულ ვარიანტშია, ამიტომაც, თუ არსენი მართლა მუჰაჰ-საუუნეში ცხოვრობდა, ქართლის ცხოვრების შედგენა არას-გზით არ შეგვიძლია შეათე საუკუნის დრინდელ დროს მივაწეროთ.

ზოგიერთ სსკა კითხვებს ქართლის მოქცევაში შეტანილ წმიდა ნინოს ცხოვრების შესახებ ჩვენ ჩვენს სამ ისტორიულ სრონიკაში შევსებთ და აქ აღარ გავიმეორებთ.

საქართველოში ქრისტიანობის დამყარების შესახებ ღათ და საზოგადოთ ჩვენი საეკლესიო ისტორიისათვის არა მცირედი მნიშვნელობა აქვს ერთ საუურადღებო წერილს

ეფრემ მონაზონისას, რომელსაც შეუკრებია ცნობები, თუ რომელ ბერძენთა წიგნში იხსენიება მოქმედა ჭართლისა. ეს შრომა ეფრემისთვის დაუგალებია იოანე კვირიონს, ქართველ ეპკლესიარს სვიმეონ საკვირველთ მოქმედის ეპკლესიისა. იოანე კვირიონს დაუმსაღებია ქართულ ენაზე სადღესასწაულო და, როგორც ეტეობა, ეს ეფრემის წერილიც ამ სადღესასწაულოში ჩასართავით სდომებია. ეპკლესია სვიმეონ საკვირველთ-მოქმედისა არის სვიმეონ მესვეტის ეპკლესია ანტიოხიის მსაღობლათ, სადაც მრავალი ქართული წიგნებია გადაწერილი. ერთ მანუსკრიპტში, რომელსაც პროფესორი ცაგარელი უჩვენებს, ამავე სვიმეონ საკვირველთ-მოქმედის სასულით იხსენიება ეს ეპკლესია¹⁾. რაც შეეხება ეფრემ მონაზონს, მას პლატონ იოსელიანი ერთ ადგილას მეცხრე საუკუნის მწერლათ მოიხსენიებს და მეორე ადგილას მეათე საუკუნისა²⁾, მაგრამ, როგორც სჩანს მისავე გამოცემული ანტონ კათალიკოსის წილობილ სიტყვაობიდან, ეს ეფრემი უოფილად ეიღრემ მცირე რომელიც ცხოვრობდა. დავით აღმაშენებელის დროს (1089—1125), და რომელმაც გადმოთარგმნა ბერძნულიდან ქართულად წიგნი დიონისი არობაზგელისა „ზეცისა იერარსიისათვის“, ამონიასის წიგნი, ქადაგება თამა

¹⁾ იხ. *Памятники груз. стр. съ Святой Земли и из Синаи*, стр. 185.

²⁾ იხ. *Краткая история Грузии. церкви, стр. 18, прим. 23. Жизнеописание св. просл. Груз. церковью стр. 29, прим. 1.*

მოციქულისა, ეს ჩვენ მიერ მოსსენებული წერილი, იოანე დამასკელის ცხოვრება, მოძღვრებანი და სიტყვანი და სსვა. ექვს ტაუშთა შორის, რომელთაც ანტონი ეფერემს უძღვნის, ორითაჲსი ჰირ-და-ჰირ ჩვენს წერილს შეესება. ეტუობა, ანტონს ეს წერილი კარგათ ქჷანია შესწავლული. მოგვეყავს აქ ეს ტაუშები:

ამან სარწმუნოდ ისტორიკოსს ჩუქნიდა
 მოქცევისათჳს, კრძთაგან ქრისტეს ღმთისად,
 და ქალწულასა, მოციქულის ნინას,
 ჭადგებისათჳს, ისარწმუნა მოთსროზლა
 ქმნილთაგან დიდის თეოდორიტესგანთათ.

ეკ სასუდ კჷლად ავასეგისთჳსცა,
 ესე იგი არს აფსანთა მოქცევისა,
 თვისუფლება არსიუპისკოპოსთა
მაშინ მივეც კურთხევაჲ უფალსა ღმერთსა და მადლი დედოფალსა-მას ჩუმსა ამას ყოველსა ზედა თხრობასა (თსონასა), და გუალად ვჭკითსე, ვითარმედ „სადაჲ არს ჩრდილომასა იუჲ ქუეყანაჲ, ანუ სადაჲ არს სამოსკოლი იგი ღუთისა ჩუქისაჲ“.

მარქუა მე: „ჩრდილომასა ქუეყანაჲ სომხითსა მთელ არს, საწარმართოჲ ქუეყანაჲ, საკელწიფოჲ ბერძენთა და უეიკოჲ“ 1).

1) ქ. ცხ.-ში ამ ფარაზის მაგიერ სწერია: „რქუა ნიაფორმან: „ქალაქი მცხეთ, ქუეყანაჲ ქართლისაჲ, სომხითისა

მათ დღეთა შინა მოვინმევიდა დედაკაცი ეფესელი
თაყუანისცემად წმიდასა ადგომასა და ჭკითსვიდა მიაფორნი
დედაკაცსა-მას, თუ ჭკელენე დედოფალი ეკეთსაკე ბნელსა
შინა არსა და მეფობაჲ მათი თუნიერ ღუთისა.

ხოლო მან ჭრქუა: „მე ვარ შეკვალი მათი და მას-
ღობელი განზრახვასა მათსა უოველსა და დიდი წადიერე-
ბაჲ აქუს ჭრომთა ჭრისტეს მიმართ შჯულისათჳს და ნათ-
ლის-ღებისა“.

ხოლო მე ვარქუ მიაფორსა: „წარმავლინე და წარვი-
დე წინაშე ჭკელენე დედოფლისა, ნუ უკუტ მიმიასლოს
სიტყვს გებად მის წინაშე ჭრისტეს-თჳს“. და ამან აუწყა
მეტრეაქსა. ხოლო მან მიწოდა წმიდამან მამამან ჩემმან,
მეტრეაქმან, მამან დედისა ჩემისამან, და დამადგინა ად-
სკავლს საკურთხეველისასა.

და დამასხნა კელნი მისნი მკართა ჩემთა, და სულთ
ათქუნა ცად მიმართ, და თქუა: „რუფალო ღმერთო მამა-
თაო და საუკუნეთაო, კელთა შენთა შეკვედრებ ობოლსა
ამას შეიღსა დისა ჩემისასა და წარვაკვლინებ ქადაგებად შე-
ნისა ღუთებისა.“

და რათა ახაროს ადგომაჲ შენი, სდაცა შენ სათ-

მთიულეთი-არს საწარმართოჲ, რამეთუ უამსა ამას უეკათა სახელ-
მწიფოდ შექმნილ-არს იგი“. ხოლო ნათლის შკეპლის და შიო-
მღვიმის ვარიანტებში ვკითხულობთ: „არს აღმოსავლეთით კერ-
ძო ქალაქი სახელით მცხეთა და ქუეყანა ქართლისა და სომხი-
თისა და სომხითისა მთიულეთი და საწარმართო, და არს იგი აწ
უანსა ამას სახელმწიფო ბერძენთა და უეკათა“.

ნო იყო, სრბად მისი. ექმენ, ქრისტე, ამას გზა, მოგზა-
ურ, ნაკოსადგურ, მოძღვარ ენა მეცნიერების, კითხვაც იგი
წინათა-მათ მოშიშთა სახელისა შენისათა.

და მიჰმნა დედისაგან ჩემისა, და მომცა ვერძი მე,
და კურთსევაჲ საგზლად, და წარვემართე დედაკაცისა მის-
თანა, და ოდეს მივედით სასიღ მისა, მუნ ვპოვეთ დედო-
ფალ-გინძე, მეფეთა (ქადაგი ¹), სასულთ რიფსიმე ²),
რომელი ელოდა იმტრუსალიმით ნათლის-ღებასა და ქრის-
ტეს აღსარებისათჳს სუროდა. მაშინ მიმცა მე კელთა
მისთა დედაკაცმან მან და მივეც მას ნათელი კელთა
ქვეშე ჩემსა, მას და ორმოცსა სულსა მისთანა სახლისა
მისისათა, და წარვედით სასიღ მისა, და ვიყვენით მუნ
ორ-წელ ³).

მაშინ მოსედა უფალმან საბერძნეთსა და ჭრწმენა მე-
ფესა კოსტანტინეს, და ქრისტე აღიარა მან და დედამან
მისმან, და უოკელმან პალატმან მათმან, დასაბამითგან წელ-

¹) ეს სიტყვა არც ერთ სხვა ნინოს ცხოვრებაში არ მოი-
პოვება. მხოლოდ იმის მაგიერ ყველა ვარიანტებში სწერია:
„ნათესავი და ტომი მეფეთა“.

²) სხვა ნინოს „ცხოვრებები. უმატებენ აქ: „და დედა
მამუქე მისი გაიანე“.

³) სხვა ექვამომდე ცნობილ ნინოს ცხოვრებებში აქეთგან
იწყება გრცელი ამბავი კეისრისათვის ცოლისძებნისა და ორდაუტ
მეფისაგან ნინოს თანამოგზაურების წამებისა, რომელსაც ლეგენ-
დური ხასიათი აქვს. აქ საჭიროდ ვრაცხო შენიშნაო, რომ ქ.
ცხ. და სხვა ნინოს ცხოვრებანი ამ მოთხრობის წყაროდ უჩვენე-
ბენ „წიგნსა წამებისა სომეხთა წმიდათსა“.

თა სუთ-ათას ოთხას ორმოცდა ოთხსა, სოლო ქრისტეს
ამხლებითგან სძმას და ათ-ერთმეტსა, და წარემართა უოკელი
საბერძნეთი ქრისტეანობასა 1). მუშუადეს წელსა იყო წმი-
დაჲ კრებაჲ ნიკეას, და მერჯის წელსა იყო სიელტოლად
ჩუენი საბერძნეთით, რითესიმე დედოფელი და გაიანე დედა-
მმუჲ და ორმოცდა ათი სული წარმოკეძართენით თათუ-
სა პირველსა ათ-სუთმეტსა.

და გამოკედით არეთა სომხითისათა, სამოთხესა-მას
თრდატ მეთისასა, იგინი მოიკლნეს მუნ თათუესა პირველ-
სა ოცდაათსა, დღესა პარსკეკესა 2).

სოლო მე დავუთი ქალთა შინა გარდისათა, რამე-
თუ ვარდი და ნუში უვარდა მას ჟამსა. და ოდეს იგი აღ-
მოვიდოდეს სულნი წმიდათა (წათა) მათ, ვისილე ზეცით
სამოსლის მსგავსად ჩამომავალი დიაკონი (დკნი) ოლარითა
ნათლისაჲთა და გელთა მისთა აჭუნდა სასაკუმეკელს, რომ-
ლისგან გამოვიდოდა კუამლი სულნელებისაჲ, რომელი
ცათა დაჭვარვიდა, და მისთანა სიმრავლს ერთა ცისათაჲ-
და შეირთნეს წმიდანნი იგი სულნი ერთა მათ ზეცი-
სათა, და დიდებით აღმაღლდეს ცად.

სოლო მე ვლალადუჲ: „უთალო, უთალო, რად დამი-
ტევე მე შორის ასპიტა და იქედნეთა?“

კჲმად მენსა მე მუნით, რომელი მეტყოდა მე: „ეს-
რსთვე იუოს წარყვანებაჲ შენი, ოდეს ეკემ ეკალი, რა-

1) არც ერთ ვარიანტში ეს დატა არ არის ნაჩვენები.

2) სხვა ნინოს ცხოვრებებში ამათი წამების დრო არ არის
ნაჩვენები.

მელი შენსა გარემოებს არს, ყოველივე იქმნეს ვარდ-მე-
წამულ-სულნელ შენ მიერ.

ხოლო შენ აღდეგ და ვიდოდე აღმოსავლით, სადა
იგი არს სამკალ ფრიად და მუშაკნი ყოვლადვე არა არი-
ანა. ხოლო მე წამოვედ და მოვედ ულოპორტთა ¹⁾ და
დავიზამთრებ ჭირთა შინა დიდთა.

და თთუესა მეოთხესა ²⁾ წარვედ მთათა ზედა ვაკ-
სეთისათა, რათა ვცნა, თუ სადაათ არს მცხეთაჲ.

და მივემთხვე მთასა ზედა [და მივემთხვიე ტბასა მას
დიდსა გარდამომდინარესა რომელსა ეწოდების ფარავანი. ხო-
ლო მივიხედნე რა მუნით და ვიხილნე მთანი იგი ჩრდილოსანი,
დღეთა მათ ზაფხულისათა სასესენი თოვლით და ჭაერითა სას-
ტიკითი, შევსძრწუნდი მე და ვთქუ ესრედ: „უფალო, უფალო.
მიიღე სული ჩემგან და დავევ მუნ ორ დღე და ვითხოვე.
საზრდელი მეთევზურთაგან ტბასა-მას შინა მონადირეთასა.
და რამეთუ მწუემსნიცა იყვნეს ადგილსა მასვე და კუმღვი-
დეს რაჲ საკმილავსა ღამისასა სამწყსოსა ზედა მათსა, სა-
დოდეს იგინი შემწედ და მფარველად თვსად ღმერთთა მათ-
თა, არმას და ზადენს, და აღუთქმიდეს მათ შესაწირავ-

¹⁾ ქ. ცხ. და სხვა ნინოს ცხოვრებებში ამ სიტყვის მაგიერ
სწერია „ორბანთად“; მარიამ დედოფლის ვარიანტში „ურბნი-
თად“; ნათლისცემლისაში „ორბითად“; შიო მღვიმისაში — „ურ-
ბნისად“.

²⁾ სხვა ნინოს ცხოვრებანი აქ უმატებენ: „მარტიოგან.
რომელ არს იენისი“.

თა, „ოდეს მოვიდეთ წინაშე თქვენსა მშვიდობითო“. და ამას იტყოდეს იგინი ენითა სომხურითა(?) რომელი ესე მცირედ წაბზე მესწავა მეცა ჰირველვე ნიამფორისა მის-გან და ჰკვითსე ერთსა მწეემსთა მათთაგანსა და ჰკოტქე ენითა სომხურითა, ვითარმედ „რომლისა სოფლისანნი ხართ“. ხოლო მან მომიგო და მარქუა მე, ვითარმედ „ვართ ჩვენ დაბით ელარბინით და საფურცლით, და 1) ჭინძარელნი რბატელნი და დიდისა ქალაქისა მცხეთისანნი, სადაა იგი ღმერთნი ჰხედვენ 2) და მეფენი ნეფობენ“. და კუალად კვითსე მე, ვითარმედ „სადაა არს ქალაქი იგი მცხეთა“. ხოლო მან მომიგო და მარქუა მე, ვითარმედ „გარდამდინარე ესე არის ტბისა თანა-წარყლის ქალაქსა-მას მცხეთასა“.

ხოლო მე შემიძნდა სიგრძე გზისა-მის და სიპრტეე მათათა მათ, რომელი ვიხილე და ამისთჯს შემქნებულ ვიყავ სულთ-ვითქუნე და დავიდე ლოდი ერთი სასთუნად და ესრეთ მივიძინე გარდასადინელსა-მას ტბისასა. და ვითარ იგი მიძინა მე, მოვიდა კაცი ერთი ჩუხნებით ჰსასკიათა ზომიერ, ხოლო თმითა ნასკვარ-თმოსანი, და მომცა მან მე წიგნი დაბეჭდული და მარქუა მე: „მიართვი ესე მსწრათელ ქალაქსა შინა მცხეთას მეფესა-მას წარმართთასა“.

ხოლო მე ვიწეე ტირილად და ვარქე მას ვედრებით, ვითარმედ „მე, უფალო დედაკაცი ვარ უცხო და უმეტარი

1) სიტყუიდგან „ვითარმედ ვართ“ — აქამომდე იოანე ნათლის მცემელის და შიო მღვიმის ვარიანტებში გამოტოვებულია.

2) ქ. ცხოვრებით — ღმერთობენ.

და არცა ენისა მეტყუელად მეცნიერ...ვარ 1) და ვითარ მი-
ვიდე უცხოთა ქუეყანასა და კაცთა მათთანა უცხო თესლოა.

მაშინ კაცმან მან განჭკვნა წიგნი იგი, რომელსა ზე-
და იყო ბეჭედი იესო ქრისტესი და წერილ იუვენეს მუნ
შინა ენითა ჭრომელებრითა ათნი სიტყუანი მსგავსადვე
ფიტართა-მათ ქვისათა მოსეს-ზე და მომცა მე კითხვად
და იყო დასაბამ სიტყუათა მათ ესე:

ა. სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე, მუნცა ითქმო-
დის დედაკაცი ესე.

ბ. არცა მამაკაცებაჲ არს, არცა დედაკაცებაჲ, არამედ
თქვენ უოკელნი ერთ ხართ.

გ. წარვედით და მოიმოწაფენით უოკელნი წარმარ-
თნი და ნათელ-სცემდით მათ სასულისათა მამისათა, და
ძისათა, და სულისა წმიდისათა.

დ. ნათელი გამობრწყინებად წარმართთა ზედა და
დიდებად ერისა შენისა ისრაელისა.

ე. სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე სასუფოველისაჲ,
მუნცა ითქმოდეს უოკელსა სოფელსა 2).

ვ. რომელმან თქუენ შეგიწინარეს, მე შემიწინარე,
და რომელმან მე შემიწინაროს, შეიწინაროს მომავლისე-
ბელი ჩემი.

ზ. რამეთუ ფრიად უყვარდა მარიამ უფელსა, რამე-
თუ მარადის ისმენდა მისსა სიბრძნისა-ჴეშმარიტსა.

1) ქ. ცხ.: არღა მრავლისა მეტყუელად მეცნიერ.

2) შიო მღვიმის ვარჯიანტა ეს პეჩულო ფრანზა ჰამოტო-
ეხულია.

მ. ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყუდნენ გორ-
ცნი თქუენნი, სოლო სულისა ვერ შემძლებელ არიან მოწყ-
უებად.

თ. ჭჭუა მარამს მაგდანელსა იესომ: „წარვიდ დედა-
კაცო, და ასარე ძმათა ჩემთა.

ი. და სადაცა მიხვიდეთ ¹⁾, ჭჭადაგუბდით სასული-
თა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.“

ვითარცა წარვიკითხნე სიტყუანთა ესე, ვიწყე კედრებად
ღუთისა მიმართ და გულის-ხმა-ჭყეავე, ვითარქმედ ზეცით
იყო ჩუენებაჲ ესე, და აღვისილნე თვალნი ზეცად, და ვი-
თხოვე მალაღთა შინა დამკვიდრებულისა და ყოვლისა გა-
რეშე-მცველისა ღუთისაგან შეწევნაჲ ჩემი, და წარმოვეძარ-
თე და მივეუკე წიად გერმო მდინარისა მისგან, ტბისა გარ-
დამომდინარისა] ²⁾. და იყო დინებაჲ მისი დასავალით გერ-

¹⁾ ეს სიტყუა შხოლოდ მარტო შიო-მღვიმის ვარიანტში
შოიპოვება და სხვებში არა.

²⁾ აქ რაც ფრჩხილებშია ჩასმული, ის ჩვენ იოვანე ნათ-
ლის-მცემლის და შიო-მღვიმის ვარიანტებიდგან დაუერთო-
რადგანაც დედანს აკლდა. ხოლო საჭიროთ ვრაცქთ შევნიშნოთ,
რომ ყველა აქამომდე ცნობილ ვარიანტებში ეს მოთხრობა მესა-
შე პირის მოთხრობათ არის მოყვანილი, მაგრამ ამ ახალ ნინოს
ცნოვრებაში, როგორც მკითხველიც ზედავს, ნინო თავის თავზე
თვითონ მოგიხრო-ბს, ესე იგი მთელი ისტორია მოთხრობილია
პირველი პირით. რომ მოთხრობის ძაფი არ გაწყვეტილიყო,
ჩვენ საჭიროდ დაგინახეთ მესამე პირის მზნები პირველ პირი-
სად შეგვეცვალა, და ძველებური ფორმაც დაგვეცვა. სხვა არა-
ფერი არ შეგვეცვლია.

ძო, და მიუდევ გზას ძნელსა და ფიცსელსა, და ვიხილენ დიდნი ჭირნი გზათაგან, და შიშნი მკეცთაგან, კიდრემდე მოვიწიე აქა, ვინაჲ იგი წყალმან აღმოსავლით იწყო დინებად.

მიერთგან იყო ღსინებაჲ ჩემი და ვპოვენ მოგზაურნი, და მოვიწიე სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა ურბნისისასა, და ვიხილე ერი უცხოჲ, უცხოთა ღმერთთა (ღთთა) მსასური, ცეცხლსა და ქვათა და ძელთა თაუუანის-სცემდეს.

შეეურვჳ სულსა ჩემსა წარწყმედასა მათსა ზედა და მოკედ ბაგინსა ჭურიათასა ¹⁾ ენისათჳს ებრელებრისა, და ვიყავ მუნ ერთ თთუწ, და განვიცდიდ ძალსა ამის ჭკეუნი-სასა.

და, იყო ღღესა ერთსა, აღიძრეს ერნი ძლიერნი და ურიცხუნი სიმრავლითა მით ქალაქით, წარმავალნი დიდად ²⁾ ქალაქად მცხეთად, რომელი იყო საჯდომელი დიდთა შეთეთაჲ, ვაჭრობად და ლოცვად არმაზ ღუთისა-მათისა.

სოლო მე წარუჭყევე მათთანა, და მივიწიენით ქალაქად მცხეთად, წილთა მოგუთასა, კიღსა ზედა, დავდექით მუნ, და ვსედეკდით ცეცხლის მსახურსა-მას ერსა, და მო-

¹⁾ ქ. ცხ.-ში ვკითხულობთ: „და შევიდა უბანსა ჭურიათასა“; მარიამ დედოფლის გარიანტში: „და შევიდა ბაგინსა ჭრომელთასა“; სხვა ნინოს ცხვრებებში: „და შევიდა ბაგინსა შინა ჭურიათასა“.

²⁾ ქ. ცხ.-ში „ღედა-ქალაქად“; მარიამ დედოფლის გარიანტში და სხვა ნინოს ცხვრებებში თანახმად „ქართლის მოქცევისა“.

გუებსა და ცთომისა მათსა ზედა ვტიროდე წარწყმედისა მათისათჳს, და უცხოკეპსათა ჩემსა კეგლოვი.

თავი ვ. მოწევნად წიდიისა ნინოძისი მცხეთად, აღწერილი მისივე სალომე უქარ-მელისაჲ ¹⁾.

ხელისაგან იყო კმად ოსრისაჲ და საყვირისაჲ, და გამოვიდოდა ურიცსჳ, ვითარცა უუავილოსანნი ზარნი, და საშინელნი გამოვიდოდეს; სოლო მეფე არღასადა შეძრულ-იყო.

და ვითარცა უამ-სცა უამმან, სივლტოლაჲ და მიღა-მო-მალვად იყო ყოვლისა კაცისა, და შეივლტოდა ყოველი კაცი საფარველსა ქუეშე, რამეთუ გამოსადმე ვიდოდა ნანა დედუფალი (დეუფალი).

და ვითარცა განვლო ნანა დედოფალმან, მასინ-ლა ნელიად-ნელიად გამოვიდოდა ყოველი ერი და შეამკვეს ფოლოცი ყოველი სამოსლითა თითო პირითა და ფურ-ცლითა.

და იწყო ყოველმან ერმან ქებად მეფისა, და მასინ გამოვიდა მირეან მეფე თუალთ შეუდგამითა ხილვითა.

და ვჰკითხუ ქურჩისა დედაკაცსა, თუ „რად არს ესე“.

¹⁾ ქარ. ცხ.-ში და სხვა ნ.ნოს ცხოვრებებში ეს ცალკე თავად არ არ-ს შეტანილი.

და მან ჰქვია: „ღმერთი ღმერთთა მათთაჲ უწესს მას არ-
მას, რომელ არაჲ არს სხვაჲ გარეშე კერძი.“

ხოლო მე წარვედ ხილვად არმაზისა, და აღივსნეს
მთანნი იგი დროშითა და ერთთა, ვითარცა უუავილითა, სო-
ლო მე შეუსწრვე ცხივად არმაზდ და დავექმ ასლოს კერ-
პისა-მის ნაპრალსა ზღუდისასა, და ესედგედი საკურკელე-
ბათა და საშინელსა, რომელი თქემად ენითა ვერ ეგების,
ვითარ იგი იყო ზარის აღსაკდელი შიშით და ძრწოლით
მეფეთაჲ მათ და ყოვლისა ერისაჲ და საზარო დგომად.

ვისილვე და, აჭა, დგა კაცი ერთი სპილენძისა და ტან-
სა მისსა ეცუა ჯაჭვ ოქრომასაჲ და ჩათხუტი ოქ-
რომასაჲ, და სამკარნი. ესხნეს ფრცხილი და ბივრიტი და
გელსა მისსა აქუნდა კრძალი ღესული, რომელი ბრწყინ-
ვიდა და იქცეოდა გელსა შინა, რეცა თუ რომელი შეესებინ,
თავი თუხი სიკუდიდ განიწირის. და იტყუნ: „გაჲ თუ და-
სადავაკლო რაჲ დიდებასა დიდისა ღუთისა არმაზისსა და
შერასმევსტოე სიტყუასა ებრაელთა-თანა, გინა მოგუთა სმე-
ნასა, ოდენ დახუდომილ ვიყო მზის მსახურთა. და რომ-
ელნიმე იტყუნ უტყებნი დიდსა ვისმე ღმერთსა ცათასა და
ნუ უკუე ჰოვოს რაჲმე ჩემთანა ბიწი, და მცეს მასვილი
იგი მისი, რომლისაგან ეშინის ყოველსა ქუეყანასა.“ და
შიშით თაყვანის სცემდეს ყოველნი.

და მარჯულ მისა დგა კერძი ოქრომასაჲ და სახელი
მისი „გაცი“, და მარცხლ მისა კერძი ვეცხლისაჲ და სახე-
ლი მისი „გა“¹⁾, რომელნი იგი ღუთად ქქოიდას მათთა
თქუენთა, არიან ქართლით.

¹⁾ ქ. ცხ.-ში და სხვა ნინოს ცხოვრებებში „გა-მ“

მაშინ ვტიროდე და სულთ-ვითქემდ ღუთისა მიმართ ცთომათა მათთვის ქუეყნისა ჩრდილო-აღმოსავლეთითა, დათვარკასა ნათლისასა, და დაპურობასა ბნელისასა.

კხედველი შეფეთა მათ ძალ-დიდთა და ყოველთა მთავართა, რამეთუ ცოცხელივ შთაქნაქნეს ეშმაკსა, ვითარცა მკუდარნი ჯოჯოხეთსა.

და იტყოდეს დამბადებლად ქუათა და ძელთა, და სპი-
ლენძსა, და რკინასა, და რკალსა გამობერკით-განჭედელსა
ღუთად თაყუანის-სცემდეს. ესენი იცოდეს ცისა და ქუეყა-
ნისა შემოქმედად.

მაშინ მოვისსენე სიტყუე იგი, რომელი მამცნო
იობენაილ პატრეაქმან, წმინდამან მამამან ჩემმან, ვითარმედ
ივითარცა მამაკაცსა სრულსა წარკავალინებ და მიწევნად ხარ
ქუეყანასა უცხოასა ნათესავთა დგომელ ზეფელ ნარკადო-
გელ, რომელ არს: „კაცნი ღუთის მკდომნი, მბრძოლნი და
წინა-აღმდგომნი“ 1).

მაშინ ავიხილენ ზეცად და ვთქუ: „უფალო, უფა-
ლო, მრავალთა ძალთა შენთა გეტრუვნეს შენ მტერნი ესე.

და ესე არს დიდითა სულგრძელებითა შენითა, და
იქმან რასაცა იგონებენ მტრუნი ესე და ნაცარნი ქუეყანი-
სანი. არამედ ნუ უგულებელს ჰყოფ, რამეთუ სატი შენი

1) ქ. ცხ. ში სწერია: „და ნათესავთა დარგველ, ზეველ
ბარკადულ (ვარიანტით „ბარკიდულ“). რომელ არს ბრანდუ-
ლოდ: „ეატთა ღუთის მბრძოლთა და მხდომელთა“. ნათლის-
მცემლის და შიომღვიმის ვარიანტებში: „და რბეველ, ზეფელ
ბარკადულ.“

არს კაცი, რომლისათვის ერთი სამებისაგანი კაც იქმენ და
დაცხოვნიე ყოველი სოფელი.

ამათცა ნათესავთა მოხედენ და შეჭრისსენ სულთა
ამათ უჩინოთა საუფლის მპყრობელთა მთავართა ამის ბნე-
ლისათა, და მიჩუენე მე, ღმერთო, მამისა და დედისა ჩე-
მისათა, მკველსა ამას ნაშობსა ძონისა შენისასა, რათა
ისილონ მაცხოვარებაჲ შენი ყოველთა კიდეთა ქუეყანისა-
თა.

და რათა ჩრდილოჲ ბლუაქსა თანა იხარებდეს და
ყოველმან ენამან შენ მსოფოსა ღმერთსა თავუყანის-გცეს
ქრისტლ იესოჲს (იჲჲს) მიერ, ღუთისა ჩუენისა, რომელსა
შუენის მადლობით დიდებისა შეწირვა აწ და მარადის, და
მერმეთა მათ საუგუნეთა, ამენ“.

და კითარცა წამისყოფაჲ თულისაჲ იყო, დასავლით
ჭაერნი და ქარნი შეიძრნეს და კმა სცეს ქუხილთა კითა
საზარელითა.

და აჩნდა ღრუბელი მოწითაფლ, ნიშან-საშინელი, და
მოიღო ნიამან მზის დასავლისამან სული ჯერკუელი სიმ-
წარისაჲ და სიმყრალისაჲ. მაშინ იელტოდა ყოველი კაცი
სოფლად და ქალაქად. და ეცა მათ დროჲ, რათა შეიჭრნეს
კაცნი საყოფლად.

და მეუს მოიწია რისხვისა იგი ღრუბელი, და მოი-
ღო სეტყუაჲ ლიტრისა ¹⁾ სწორი მას ადგილსა ოდერ, და
დალეწნა კერპნი იგი, და დაფქვნა, და დაწულილხა, და

¹⁾ სხვა ნინოს ცხოვრებებში ატყუე. ქარ. ცხ.-ში: „სეტ-
ყუაჲ სწორი ქვისა“.

დაარღვნა ზღუდენი-იგი ქარმან სასტიკიან, და შთაყარა იგი კლდესა, რომელსა იგი თქუენცა ჭხედვედით ანუ არა. [სროლო მე კვამ უგებელად დაცული ადგილსა: მასვე, სანა-პირველ შესრულ და მდგომარე ვიყავ.]

ხოლო დღესა მეორესა გამოვიდა მირიან მეფე და უოკელი იგი ერი მიუბად ღმერთთა მათთა და არა ჭმოებდეს, რომელსათჯს იგი დაცვა მათ შიში და ძრწოლად, და განკვრეპამან შეიპყრნა, და უმრავლესნი იგი ერში იცყო-დეს გულფიცსელნი და მოუდრეკელნი ესრედ, ვითარმედ, „ჩაღდეკელთა ღმერთი იდრუჯან და ჩვენი ესე ღმერი არ-მას უოკლადვე ურთიერთარს მტერ არიან. რამეთუ ამან არმას ოდესმე მასზედა ზღადა მოაქცია და აწ მან შური-ისია და მოაწია ესე ამას ზედა“

ხოლო რომელნიმე ესრედ იტყოდეს, ვითარმედ „რო-მლისა ღუთისა ძალითა თთრდატ სომესთა მეფე ეშვათ შეიცვალა და კულად ეშვობისაგან კაცადვე მოაქცია, მან უგუჭ ღმერთმან უო და მოაწია ესე, რამეთუ სსკად ღმერ-თი კურ შემწლებელ-არს უოთად ამისასა“. და ამას ესე ვითარსა იტყოდეს, მასინ ამისთჯს რამეთუ ვინათგან მეფე თრდატ ქრისტეს ძალითა ეშუად გადაქცეულ იყო და ძა-ლითა ქრისტესითა კულად კაცადვე შეცვალესულ-იყო, მიერითგან ჭებად და დიდებად ქრისტესი. არდარა ფარუ-ლად ითქმოდნა ქართლს შინა, რამეთუ მადდესა ღუთისასა ეწყო მოთუნად [ღმოსავლეთს] 1.....

1) აქ დედანში ერთი ფურცელი აკლია. რაც ფრჩხილებ-შია მოყვანილი, ის ჩვენ იოანე ნათლის-მცემლის და შიო-მღვი-

და თქვა მეიქემან ცრემლით: „ჭქქე რამთქუთა სო-
ჭათ სთაბანუბ რასულ ფსარ ზად.“ ხალო თა. აგმანქადა.
ესე არს: „მართაღსა იტუჯ, ბედნიერო დედოფალო, და მოტი-
ქულო მისა ღუთისაო“. და ვითარცა დასცხრა რისსკად-იგი
გამოკედ კლდისა მისგანა ნაპრადისა და ვზოკე თუალი იგი
ბიერიტი, აღვიღე და წარმოკედ წინა-კერძო დასასრულსა
მის კლდისასა ¹⁾, სადა ძუელ ქალაქი ყოფილ-იყო, და მას
ადგილსა ყოფილ-არს ციხს. (?)

და მუნ დგა სს მშუესიერი ბრინჯისაჲ, მალაღი და რტო-
მრკალი, მოკედ ქუეშს ხესა-მას და გამოვინიშს ნიში-იგი
ქრისტეს ჯუარისაჲ, და ვილოცეკვი მუნ ექუს ღლს.

მის ვარინტებიდგან დაურთოთ. მაგრამ ეჭვი არ არის, რომ დე-
დანში უფრო ვრცელი მოთხრობა ყოფილა და, ვგონებ, განს-
სხვაებულრიც ამ ჩვენ მიერ დამატებულ ტექსტისაგან. პირველი
ჩვენი მოსაზრება ეუჭველი სთება იმით, რომ ერთ ფურცელზე
ორჯერ მეტი ტექსტი უნდა იყოს დატეული, ვიდრე აქ ფრჩხი-
ლებში მოყვანილი ტექსტა. ორი სხვა ადგილი, რომელთაც
აგრეთვე თითო ფურცელი აკლია, და რომელნიც ჩვენ შემოსე-
ნებულ ვარიანტებიდგან შევავსეთ, ცხადად აპტიცებენ ამას (ნ.
შემოთ გვ. 15—18 და აგრეთვე ქვემოთ გვ. 40—42). რომ დედ-
ნის ტექსტი ჩვენ მიერ დამატებულ ტექსტისაგან განსხვავებუ-
ლი უნდა ყოფილიყო, ეს იქიდგან სჩანს, რომ თრდატ მეფის
ეშვად შეცვლაზე არაფერი არა ყოფილა ნათქვამი ზემოდ და.
არც აქ უნდა იყოს გამეორებული. ამას გარდა დამატებული
ტექსტი, როგორც მკითხველიც ხედავს, ისე არ ეწყობა გაგ-
რძელებას, როგორც ორი სხვა დამატებანი შეეწყო.

¹⁾ ქ. ცხ.-ში და სხვა ნინოს ცხოვრების ვარიანტებში:
„კლდის ცხვირისასა .

ოდეს იგი გამოხუდით სიმრავლეს ერისაჲ და ემი-
გრაციით ღმერთთა მათ, რომელთა ვნებაჲ დაჰბადეს, და არა
შეშობოთ, მაშინ მე მუნ ვიყავ, რამეთუ დღეს იყო მეექვსეს
თხუთსაჲ-მის, ოდეს იგი ეკმანუგულ თაბორს მამისა ხატო-
მანუენს თავთა-მათ ცხოველთა და თავთა-მათ მიცვალებულ-
თა 1).

მაშინ მოვიდა დაჲ ესე ჩემი შრომანა, სეფე-ქალი,
მისილა და მოიყვანა ბერძელ-მეტყუელი დედაკაცი და მკით-
ხა ყოველი გზაჲ ჩემი.

მაშინ ვხედევდ მე თუალთა მისთა ცრემლთა დინება-
სა უცხოკებისა ჩემისათჳს.

ოდეს ცნა ყოველი საქმეს ჩემი, მიაბულა წარუთენება
ჩემი სეფედ. სოლო მე არა ვინებე, და იგი წარვიდა და მე-
სამესა დღესა ჩამოვედ ქალაქად მცხეთად, და მიემართეს
სამართხესა-მას მეფისასა.

და მირადვედ კარსა ზედა სამართხისასა, იყო სახ-
ლასი მტირეს სამართხის მცველისაჲ, და შერადვედ შინა, ჯდა
ესე დედაკაცი ანასტოს 2). და ვითარცა მისილა, აღდგა
და შემიტებო მე, ვითარცა მეცნიერმან და მეგობარმან, და
დამბანნა თერგნი ჩემნი, და მცხო ზეთი, და დამიგო

1) ქ. ცხ. და სხვა ნინოს ცხოვრებანი: „იუო თთვე მარ-
ტიოტგან მეექუსე აგვსტოსი და დღე მეექუსე. რომელსა შინა
ფერი იცვალა ქრისტემან წინაშე თავთა-მათ წინასწარმეტყუელ-
თა და მოწათეთა თხუთსა“.

2) სხვა ვარიანტები უმატებენ: „ცოლი მცველისა-მის“.

ტრავეზი და ღვინო, და მაიძულა მე ჭამად და სუმად, და დაკუავ მისთანა ცხრაჲ თთუშ.

ესე იყო უშვილოჲ და ზრუნვიდა ეგე და ქმარი მაგისი. ჩუენებით ვხედავდ, მოვიდა კაცი ნათლისა ფერი და მარქუა მე: „სამოთსესა შევედ, ნამუთა ქუეშ მბილოთა ადგილი არს მტინს, საყუარელად შემზადებული, მიწაჲ აღილე ადგილისა მისგან და შეაჭამს კაცთა მკათ დაესუსა შეილი.

ხოლო მე ვუავ ეგრესთ, და ესხნეს მეუბ და ასულებ მრავლად, რომელსა ესე თვთ ჭსკდავთ 1). და მათეუ დღეთა შინა ორგზის და სამგზის ვისილს ჩუენებასა შინა მტირედსა-მას მირულებასა ჩემსა მუკლთა ზედა.

მოვიდინ მფრინველნი ცისანი, შთავიდიან მდინარესა, დაიბანნიან და მოვიდიან სამოთსესა-მას, და ბაბილოსა-მას მოისთვლებდიან და უუაკილსა-მას მოვიდიან, და მოწლედ ჩემდამო ღაღადესედ, რეცა ჩემი არს სამოთსეს იგი.

გარს მომადგიან ჟღავილით და კობოდ ჩემდა მომართ მრავალ ფერად და შუენიერად იყო ხილვაჲ იგი მათი, და მრავალ-გზის იყო ესე. და უთხარ ესე დასა ჩემსა, ასულსა აბიათარისასა 2). მომიგო და მრქუა მე მან: „უცხოვო

1) აქედან დაწუებული მეექესე თაკის ბოლომდე ეს მოთხრობა სავა ვარიანტებშიაც მოიპოება (იხ. ქ ცხ. გვ. 81—82)

2) აქ დედანში ქვემო არშიაზე ხუცური ასო მთავრულით და წითელის მელნით სწერია: „ესე დედაკაცი იყო სიღონია, მოწაფე წმიდისა ნინომსი, რომელმან ესე უკველი აღწერა“.

და აქა შობილო 1) ტუუეო და ტუუეთა მსკნელო, უწუთუ რამეთუ შენზს მიაწია ახალი იგი ეპი და შენ მიერის-მეს ჭამბავი იგი ძუელი, მამათა ჩუენთა ნაქმარი, ზეცი-სა-მის კაცისაჲ, უბრალოჲსა სისხლისაჲ. უსამართლოდ დათსევისაჲ, რომლითაცა ქმნა ღმერთმან ჭურითა სირცხული, ცისკიდეთა განსნეკაჲ, მეფობისა დაცემაჲ და ტაძრისა-მის წმიდისა მოღუებაჲ, ერისა-მის უცხოჲსა მოკებაჲ და თჳსად წოდებაჲ, და დიდებაჲ მათა მიცემაჲ.

და კუალად თქუა: „იზრუსალემ, იზრუსალემ! ვითარ გან-გიმარტვან შვილნი 2) შენნი და შეიკრებ უოკელთა ცისკიდი-სა ნათესავთა ფრთეთა ქვეშს შენთა, აჭა, ესერა აქაცამო-სრულ არს დედაგაცი ესე, და შეცვალოს უოკელი წესი ქუეყანისაჲ ამისა.“

და მომეჭვა და მრქუა:

„ჩუენებაჲ შენი არს ესე, რამეთუ ადგილი ესე სა-მოთხისაჲ შენ მიერ იქმნეს სამოთხსს სადიდებულად ღუთი-სა, რომლისაჲ არს დიდება აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინა.“

1) ქ. ცხ. და სხვა ვარიანტები: „უცხოო და აქ არა შობილო“.

2) ქ.- ცხ. და სხვა ვარიანტები: „ფროენი“.

თავი ს¹); რომელი აღწერა დედაკაცმან
ჭურიაძან, სასულით სიდონია, ასულმან აბი-
ათარ მღვდლისაძან.

და იყო ოდეს მოხედა ღმერთმან წყალობითა ქუე-
ყანასა ამას დავიწყებულსა ჩრდილომასას კაკკასიათა, სომ-
ხითსა მთეულსა, რომელსა მთანი დაეყვარეს ნისლსა
და კელნი არმურსა ცთომისა და უმეცრებისასა, და იყო ქუ-
ეყანაჲ ესე ჩრდილო მზისაგან სიპართლისა ძისა ღუთისა
მოხილვისათჳს და ცნობისა, ვითარცა სასული ერჭუა სჰმარ-
თლად ჩრდილოჲ.

არათუ ამის მზისა ნათლისაგან დაკლებულ იყო, ანუ
აწ არს დაკლებულ მისგან, ყოველი ცასა ქუეშე მყოფი
ისილავს და ყოველსა ჰსედავს იგი, და რომელსა სიცსი-
თა მიჭრიდის, ნათლითა ყოველსა ადგილსა მისედის.

ესე არა თუ ამისთვის ერჭუა ქუეყანასა ამას ჩრდი-
ლო, არამედ იუენეს ესოდენნი წელნი და ესთენნი ჩათე-
სენი ნოკესითგან და ებურისთაგან, და აბრაჰამისთაგან, და
მუნ შინა იყო იობ აზნაური განცდილი გამცდელისაგან,
ვითარცა იოსებ, მოსს, ისე, მღვდელნი და მსაკურენი
და შემდგომითი შემდგომად, რომელი იგი ვიცით სმენით
წიგნთაგან საღმრთოთა.

1) მეშვიდე თავად მოხსენებული პარაგრაფი თეიმურაზის,
მარიამის, მეგრულის, ნათლის-მცემლის და შიო-მღვდის ვა-
რიანტებში ქვემო მოყვანილ ამბავს სრულით არ მოგვიანრობს
(იხ. ქ. ცხ. გვ. 86 88).

გარდაგდეს ქრისტეს მოსლავადმდე წელნი ჯერ“ შობითგან ქრისტესით ვიდრე ჟურცუმამდლ“ აღგ“ და ჟურცუმიტგან ქრისტესით ვიდრე გონსტანტინე ბერძენთა მეფისა მონაორლავადმდლ“ რტია“, და ათათხმეტიის წლისა შემდგომად მოიუღინა ქუეყანასა ჩუწნსა ჭდაგი ტეშმარიტებისაჲ, ნინო დედოფალი ჩუენი, ვითარცა ბნელსა შინა მთიები, რაჲ აღმოჰკადის და ცისკარი აღიდის და მისა შემდგომად აღმოვალნ დიდი იგი მთულობელი დღისაჲ. ესრეთ იყო ცხობრებაჲ ჩუენი, ქართველნო.

რამეთუ [ვე]ქცეოდეთ ნათელსა და მკვდრ კიევენიტ ბნელსა. ვისარებლით შუეებითა და ვიუნჯებლით, გლოვასა რომლისა ნუგეშინის მცემელ არა იყო. ვმსასურებლით სამქ დაბადებულთა და არა დამბადებულსა.

ქერობინთა ეტლთა ზედა მჯდომარისა წილ მათთა მღალთა თაყუანის-სცემდეს მამანი ჩუენნი ტეხლსა და გარიზინსა, და მას ზედა არა იყო არცა ღმერთი, არცა მოსე, არცა ნიში მათი, არამედ გერზნი ქვისანი უსულონი.

ხოლო ამას ქუეყანასა ქართლისასა იყვნეს ორნი მთანი და მათ ზედა ორნი გერზნი, არმაზ და ზადენ, რომელნი იუნოსდეს სულ-მურალობით ათასსა სულსა ერმისა პირმშოღსასა, არმაზ და ზადენ, და შესაწირავად აქუნდეს მშობელთა მათთა მსხუერკზლად, ვითარმცა უგუნისამდე (რკე) არა იყო სიკუდილი და ესე იყო მოაქამდლ.

ხოლო იყვნეს გერზნი სხუანიცა სამეფონი გაცი და გა. და შეიწირკოდა მათა ერთი სეფლ-წული ცეცხლითა დაწუვად და მტუერი გარდაბნეკად თავსა გერპისასა 1).

1) ეს მოთხრობა მეშვიდე თავიღგან დაწყებული აქამომდე არ არის არც ერთ ნინოს ცხობრების ვარიანტში.

და ამის უოკლისა შემდგომად თხრობასა გითხრობ მამისა ჩემისასა, რომელი წიგნთაგან ვიცი კითხვით, და მამისა ჩემისაგან თხრობილსა:

„ოღეს იგი შეფობდა ჭეროდე და მოგუესმა აქა, ვითარმედ სპარსთა ისრუსაღემი დაიპყრესო, გლოვისა წიგნი მოეწერა უოკელთა ჭურიათა მომართ ქართლისათა.

მცხეთელთა მკვდრთა, ბოდელთა მღელთა, კოდისწყაროელთა, მწიგნობართა და სობის კანანელთა თარგმანთა, ვითარმედ „ათორმეტნი მეფენი მოვიდესო დაპყრობად ქუეყანასა ჩუენსა, და უოკელი შეიძრეს სიელტოლით შეწვენად მათა“.

ხოლო შემდგომად მცირს მოიწია სხუაჲ (sic) დაღადისი ნუგეშინის-ცემისაჲ ისრუსაღემით უოკელსა ქუეყანასა, ვითარმედ „სპარსნი იგი არა დაპყრობად ქუეყანისა მოვიდეს, არამედ ახერის და საჭურველისა წილ და საგზლისა, აქუნდა ოქროჲ ყვთელი, მური, მწრათელ მკურნალი წყლულისაჲ და გუნდრუკი სულ-აჭამოჲ.

ესე უოკელსა მკედარსა მათსა და თვთ მეფეთა თითო სატჯრთი აქუნდა და ეძიებდეს ერმასა ვისმე ახლად შობილსა, მეს დავითისასა, რომელიცა ჰოკეს მწირი ერთი, მწირისა დედაკაცისა ძს, უქამოდ შობილი უადგილოსა. ადგილსა, ვითარცა აქუს ჩუეულუბაჲ გარემდგომთაჲ.

ესენი მის ერმისა მოვიდეს და თაყვანის-ცეს და ესე უოკელი ძღუენი მისა შესწირეს და მთაჲ გარდავლეს, და წარვიდეს მშჯღობით.

აწ ნუ გეშინინ, ჭურიახო, მე ჭეროდე ვეძიებდ და არა ვპოვე ერმაჲ იგი და არცა დედაჲ მისი.

არამედ აწ წარვიმართო მასჯლი ყოველსა წელსა ზედა
ჴართ-წლითგან და უდარესსა და მოწედეს იგიცა მათთანა.
აწ გულდებულ იყვნით, რამეთუ უცნებით იყო ესე ყოვე-
ლი ამისა შემდგომად გარდაკდეს წელნი ოცდაათნი, მო-
წერა ანა მღვდელმან იმრუსალიმით მაშის მაშისა ჩემისა
ოზაძასა ¹⁾, ვითარმედ „იგივე ყრმაჲ, რომლისა სპარს-
თა მეფენი მოსრულ-იყუნეს ძღუნითა, იგი ყრმაჲ განსამზ-
ღვრდილ არს საზომსა ჭასაკისასა, მოწვეწულ-არს წყალსა
მას იორდანისასა ზაქარიაჲს ძისა. განვიდოდეს ყოველნი
ნათესავნი იმრუსალიმისანი და შენი (შენი) მაშის დე-
დის ძმაჲ ელიოს (ვთოს?) თანაჲ იყო.

და აჲ, ესე რა ცაჲ ჭებჯა და ჭეუენსა იძრკოდა, მთა-
ნი ჭკრთებოდეს, ბორცუნი იმღერდეს, ზღუაჲ დგა, წყალ-
ნი აღმართ დიოდეს, ზაქარიაჲს ძმ ივლტოდა, და ჩუჭნ
ყოველთა ზარი შემწწუნებისაჲ დაგუეცა და ერისა სიმ-
რავლისათჳს დავიდუმეთ საქმმ ესე, რომელი იყო სამმ
ცხად საუკუნითგან ღუთისათანა.

და მეოთხესა წელსა გამოკდა ბრძანებაჲ იმრუსალი-
მით ჭკროდე მეფისაგან, ვითარმედ ყოველთა ძეთა იმრუსა-
ლიმისათა, განსწეულთა ყოველსა ჭეუენსასა; იხილეთ ერთი
ღმერთი და იგულეთ და ისმიხეთ ერთი შჯული, და ის-
წავეთ ერთი სიტყუაჲ მოსესი, რომელი თქუა: „რომელ-
მან ჭეუენსასა ზედა თქუას ღუთად თავი თჳსი, ძელსა და-
მოკიდენ“. და მეამე თქუა: „წეუულ იყვნ ყოველი, რომე-
ლი დამოკიდებულ-იყოს ძელსა“.

¹⁾ სწკა ვარიანტებში ეს სახელი არ იხსენიება.

აწ ესე რა აღდგა კაცი ერთი და სასული მისი იესო (იჯ), თავით თჯით ჭსადის ღმერთსა მამად და რეცა თუ არს იგი თჯთ, ვითარცა ღმერთი.

მოკვდით უოკელნი სიკუდილსა მისსა და აღვასრულეთ მცნებაჲ ღუთისაჲ და მოსტსი.

და წარვიდა აჟამთ მამის ღედის ძმამ ჩემი ელიოს, კაცი მოხუცებული, და ესუა მას ღედამ ტომისაგან ელი მღდელისა, და ესუა ერთი ხოლო დამ ელიოზს.

ეკედრებოდა ღედამ ძესა თჯსას და ეტყოდა: „წარკედ, შვილო, წოდებასა მეფისასა და წესსა შჯულისასა, ხოლო რომელსა იგინი განიზრასკენ, ნუ შეერთვინ ცნობამ შენი მას უოკლადკე, ნუ, შვილო ჩემო.

რამეთუ სიტყუა არს წინასწარ-მეტყუელთამ და იგავი ბრძენთამ საიდუმლოჲ არს, დაფარულ ჭურიათაგან, ხოლო წარმართთა ნათელ და ცხოვრება საუკუნოჲ.

და წარვიდა ელიოზ და უოკელნი ჭურიანი ქართლით, და აღვასრულა უოკელიკე, რომელი აწ გიცით ნინომასა მიერ, ევანგელეთაგან ქრისტეს მიერ.

ხოლო სამოსელი იგი ჭხუდა მას ქუეყანასა წილით და წარმოიღო ელიოზ.

ხოლო ღედასა მისსა ვითარცა ესმა კმამ, ოდეს მასანიკმან ¹⁾ ვჟუარსა ზედა სამშჯუალსა დასცა კუერი მჯედლისამ ისტრუსალიმს, აჟა ესმა კმამ და იკრჩხილნა მწარედ

¹⁾ ქ. ცხ. და სხვა ვარიანტები: „მასანიკმან“; მარიამ დედოფლის ვარიანტი: „მასანიკმან“; შიო-შლიკიძისა და იოანე ნათლის-მცემლის ვარიანტები: „მასანიკმან“.

დედაკაცმან მან და თქვა: „მშვიდობით შეეობათ ურია-
თათ, რამეთუ მოჰკალით თავისა მაცხოვარი და მსსენელი,
და იქმენით ამიერითგან მტერ შემოჰქედისა.

კამ თავსა ჩემსა, რომელ არა წინარს მოგვედ,
რომელმცა ესე აღარა სძენილ-იყო, და არცა კინი უგუ-
ნანადსრე დავრჩი, რომელმცა (რმელმცა) მესილვა ნათე-
ლი გამობრწეინკებული წარმართთა ზედა და დიდება ერი-
სა ისრასლისაჲ“. და ამას სიტყუასა ზედა შეისუენა დე-
დაკაცმან-მან, დედამან ელიოსისმან.

ხოლო ამან ელიოზ მოიღო კუართი იგი მაცხოვ-
რისა, იესო ქრისტესი, მცხეთად სახლად ჩუენდა, და იხი-
ლა, რამეთუ მომკუდარ-იყო დედაჲ მისი ამას სიტყუასა
ზედა. ხოლო დაჲ მისი მიეგებოდა, შესურული ცრემ-
ლითა, ვითარცა სისხლითა, და მოკვჯა ეელსა ძმისა თვისისა
და მოუღო სამოსელი იგი ეწსოდასი, და შეიტკობო მკერ-
დსა თვისსა ზედა, და მწრაფელ სულნი წარკდეს სამითა
ამით სიმწარითა: სიკუდილითა დედისაჲთა და უმეტეს
ტკივილითა სიკუდილისა ზედა ქრისტესსა, და სურვილითა
მის სამოსლისაჲთა.

მაშინ იყო შიგოთი დიდი მცხეთასა შინა მეფეთაჲ და
შთავართაჲ, და ყოვლისა ერისაჲ, და იხილა მეფემან ამა-
ზაქარ ¹⁾ სამოსელი იგი იესოდასი, და უნდა წაღებაჲ მი-

¹⁾ ქ. ცხ. და ყველა აქამომდე ცნობილი ვარიანტები იე-
სო ქრისტეს ქადაგებას და სიკუდილს მოიხსენიებენ ადრეის და
არა ამაზაქარის მეფობის რდოს.

სი. სოლო წარსა-მას ზედა დედაკცისა მკურნისა კელთ-
გდებსაა შეშინდა და კერ იკადრა.

სოლო ელიოზ დაჰმარსა დაჲ იგი თჳსი. კელთა მის-
თა აქუნდა სამოსელი იგი, და არს ადგილი იგი, რომე-
ლი ღმერთმან იცის და იცის დედამან ჩემან ნინო და
არა იტყუჳს, რამეთუ არა ჯერ-არს სიტყუად აწ.

არამედ ესე სოლო კმა იუჳნ ნინოჲს მოწაფეთათჳს
და ქრისტეს მორწმუნეთა, რამეთუ მასლობელ არს ადგი-
ლი იგი ნამუსა-მას ღიბანით მოსრულსა და მცხეთას და-
ნერგულსა.

თჳნიერ ესე მესმა მამისა ჩემისაგან, არს სხვადა მ-
ლითა შემოსილი მრჩობლი იგიცა ხალენი ელიაჲსი ამას
ქალაქსა შინა, კელთა ჩუენთა, საკურთხეველისა სიმტკიცესა
ქუეშქ, ქუეთა შინა, უღულოველად ¹⁾ კიდრე ჟამადმდღ
მისა, რამეთუ მრავალზის მახირა მე დედამან ჩემან ნინო
მამისა ჩემისა მიმართ, რათა გამოჳსწულილო ადგილი იგი
სამოსლისაჲ მის გულითად. სოლო მან ესთენ დაღჳა ნა-
წილი ჩემთანა და მრქუა: „აქა არსო ადგილი სამარხოჲ
მისიო“.

რომელსა ენა [კ]ანთანნი არა დადუმნე გალობად
ღუთისა მიმართ, მას ზედა არს ადგილი იგი, ვითარცა
ადგილი იაკობისი, კიბედ ხილული, და ზეცად აღწე-
ნული, ამიერითგან და უკუნისამდე დიდება და ჭება მოუგ-
ლებელ ²⁾.

¹⁾ ქ ცხ. და სხვა ვარიანტები: „უპოვნელად“.

²⁾ მოელი ეს თავი სიტყვებიდან „და ამის უოგლისა“ (ვეს. 31)

თავი 6, თქმული სიღონისივე დედა-
კაცისაჲ.

ოღეს კიხილს ასულმან აზიათარისამან, სიღონია, წმი-
დაჲ ნინოჲ თავსა ციხისასა პირველ მცხეთისასა, კოშკსა
მას ძალაღსა ბრინჯთა მათ ქუეშს, ბრატმან მეფისა საგრილ-
თა და სასუენებელთა ჯდა.

ოღეს იგი შემუსრნა უფალმან არმაზ და სსუანი იგი
კერპნი საზარელითა რისხუთა პირისა მისისაჲთა, რომელი
იგი წინა წერილ არს ანდერძსა-მას მისსა შინა.

ხოლო ვიდრე რწმუნებადმდს დედოფლისა ნანაჲსა
ჭრისტს ღმერთი ძედ ღუთისა, სანატრელმან წმინდამან
ნინო დაუო ქქუსი წელი, ვითარ იგი თუთ იტუეს უოფა-
სა შინა მისსა.

და ოღესმე შეიღნი დედანი დაგუმოწაივნა შჯულსა
მისსა, რამეთუ ჭყოფდა ფარულად კურნებათა მრავალთა,
ვიდრემდის ნებსით იწყო. კურნებაჲ განგებითა ღუთისაჲთა
დედოფლისა ნანაჲსისა, აჩუენა ღმერთმან პირველად ძა-
ლი მისი მის მიერ მაყულოკანსა-მას შინა, განკურნა ლო-
ცუთა მისითა სენისა მისგან მძიმისა, რომელსა ხელოვნე-
ბამან კაცთამან ვერ შეუძლო განკურნებაჲ მისი. და შემ-
დგომად მისა მოგვ მთავარი სპარსი ხუარასნეული იყო, სუ-
ლითა უკეთურითა ფიცხლად იგუემებოდა, სიკუდიდ მი-

აქამომე შეცვლით შეტანილია ქ. ცხ.-ში და სხვა ვარიანტებ-
ში და მოხსენებულია აზიათარის ნათქვამად და არა სიღონია დე-
დაკაცისა (იხ. ქ. ცხ. გ. 79—81).

წევნულ იყო და იყო მთავარი იგი დედის ძმამ ნანაძისი დედოფლისაჲ.

მასინ ეგვდრნეს დედასა ჩემსა ნინოს ნანა დედოფალი და მეფეცა ისილვიდა მცირე მცირედ საქმესა-მას და ორგულებით ეტყოდა ნინოს: „რომლისა ლუთისა ძალითა იქმ საქმესა ამას გურნებისასა, ანუ ხარ შენ ასული არმაზისი, ანუ შვილი ზადენისი, უცხოვეთით მოხუედ და შეურდი. სოლო მას (სმას?) ზედა აც მოწყალებაჲ და მიგანიჭეს ძალი გურნებისაჲ, რათა მით სცხოვნდებოდო უცხოასა ამას ქუეყანასა და დიდებულმცა არიან უკუნისამდე.“

სოლო შენ წინაშე ჩემსა იყავ მარადის (მს), ვითარცა ერთი მაწოვნებულთაგან ჰატვიცემულ ქუეყანას ამას შინა, არამედ უცხოასა-მას სიტყუასა ნუ იტყვ ჰრომთა მათ შეცთომილთა შჯულსა.

და ნუ გნებავს ყოვლადჲ აქა თქემად, რამეთუ აქა, ესერა ღმერთნი დიდთა ნაყოფთა მომცემელნი და სოფლის მპყრობელნი, მზის მომფენელნი და წაშისა მომცემელნი, ქუეყანისა ნაყოფთა განმზრდელნი ქართლისანი, არმაზ და ზადენ, ყოვლისა დაფარულისა გამოემკიებულნი და ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი გაცი და გა, და თავი შენი იგი იყავნ და სარწმუნოკებად კაცთა მიმართ, და აწ უკუეთუ განჭკურნო მთავარი ესე, განგამდიდრო და გყო მკადრ მცხეთასა შინა მსახურად არმაზისა.

დაღაცათუ ჰაერისა-მის სიფიცხითა შეიმუსრა, არამედ მისი ადგილი შეუძრავ არს. ეკე არმაზ და ქალდეკელთა ღმერთი ითრუშანა ყოვლადჲ მტერ არიან.

ამან მისზედა ზღუაჲ მოადგინის და მან ამის ზედა ერთი ნურაჲმე მოაწიის, ვითარცა აქუს ჩუეულებაჲ სოფლის მპყრობელთა, და კმა გუყავნ ჩემგან ბრძანებად ესე.“

მიუგო ნეტარმან ნინო მეფესა და ჭრჭუა: „მეფე! შენ უკუნისამდე ცხოვნიდი სახელითა ქრისტესითა და კედრებითა წმიდისა დედისა მისისაჲთა და მისთანა ყოველთა წმიდათაჲთა. მოავლინენ შენზედა ღმერთმან, ცისა და ქუეყანისა შემოჭმედმან, დაბადებულმან ყოვლისა დაბადებულისამან, დიდისა დიდებისა მისისაგან და აურაცხელისა მოწყალეებისა მისისაგან, ვითარცა სახუმილისაგან ნაბერწყალი, ერი მადლისა მისისაჲ, რათა სცნა და გულის-კმა-ჭყო სიმაართლს ცისაჲ 1) და სინათლს მზისაჲ, სიღრმს ზღვისაჲ და საძირკუეულნი მისნი, სიერცე ქუეყანისაჲ და საფუძველნი მისნი, და რათა უწყებულ იყო შენ, მეფს, თუ ვინ შემოსნა ცანი ღრუბლითა და ქუხილნი კმითა ჭაერისათაჲ, და იბრვინ ქუეყანაჲ სიმძაფრითა მისითა, და რბილადან შესისტესანი კუალსა მისსა. ეგზეგინ ცეცხლნი გულისწყრომითა მისითა, ანუ ოდეს შეიძრის კეშაპი იგი დიდი, რომელ არს ზღუასა შინა, და შეძრის ყოველი ქუეყანაჲ, კიდრემდის დაირღჳან მთანი მყარნი და კლდენი, და მეცნიერ გუყავნ შენ ამას ყოველსა ზედა მიწევნით.“

რამეთუ ღმერთი არს ცათა შინა და უხილავ არს თავადი იგი ყოვლისაგან დაბადებულისა, თუნიერ მისა, რომელი იგი მისგან გამოვიდა. ესე მოივლინა ქუეყანასა ზედა, ვითარცა კაცი, რომელმან ყოველივე აღასრულა, რომ-

1) ქ. ცხ: და სხვა ვარიანტები: „სიმაღლე ცისაჲ“.

ღისათვისცა მოსრულ-იყო, და აღკდა მათოკე სიმაღლეთა შამისათანა.

მან მსოფლომან ისილა დაუსაბამო-ე იგი და იგი მსო-
ლო-ე მისთანა არს, რომელი იგი მდაბალთა ჭკუდავს და
მაღალნი იგი შორით იცნის.

სოლო აწ, მეფე, ასლოს არს მიასლებად შენი ღუ-
თისა. მე ვსედავ, რამეთუ არს ამას ქალაქსა სასწაული ერ-
თი, სამოსელი მისა ღუთისა-ე, და საღენისა მის ელია-
სისა ეოფად ვიეთმე აქა თქუეს, და მრავალნი სასწაულნი
არიან აქა, რომელნი თვთ ღმერთმან გაუწყუნეს.

ხოლო მე ესე მთავარი განკუერნო ძალითა ქრისტე
ჩემისა-ათა და ჟუარითა ვნებისა მისისა-ათა, ვითარცა იგი
დედოფალი ნანა განკუერნა ღმერთმან სენისა მისკან ფიტ-
ხელისა. და რად იგი ვაუწყე მას, ჭყოფს მას იგი, რათა
სულიცა თვისი განაბრწყინვოს და ერიცა თვისი შიანსლოს
ღმერთსა“.

მაშინ მოჰკაკრეს მთავარი იგი და წარიყუნა წმი-
დამან ნინო და მე და ნანა დედოფალი სამოთხესა-მას-
შინა, ნაძუთა მათ ქუეშე, და დაადგინა იგი, და აღმო-
საკლით აღპურობად სხნა კელნი მისნი. და ათქუთა სამ-
გზის: „ვიჯმნი შენგან, ეშმაგო, და შეუდგები ქრისტესა,
ძესა ღუთისასა.“

და ტირიდა სულ-თქუითა სულისა თვისისა-ათა წმი-
დად ნინო, და ითხოვდა ღუთისკან შეწევნასა კაცსა-მას-
ზედა, და ჩუენ მისთანა ერთ დღე¹⁾, და მწრათულ გან-

¹⁾ ქ. ცხ. და სხვა ვარაანტები: „ერთ დღე და ორ ღამე“.

ვიდა სული იგი ბოროტი, და დაემოწაფა წმიდასა ნინოს იგი და ყოველი სახლი მისი 1).

და აღიდებდა ღმერთსა მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამინ 2).

თავი თ, თქმული მისივე.

და იყო დღესა ერთსა ზაფხულის ჰიჩსა, თუესა ივლისსა ოცსა, დღესა [შაბათსა, განვიდა მეფე ნადირობად მუხრანით კერძო და მოუსდა უჩინო იგი მტერი ბოროტი, მბრძოლი ეშმაკი, და შთაუგდო სიუვარული კერძთა და ცეცხლისა, და იკონებდა ყოველსა მსახურებასა მათსა, მასჯლითა მოწყურდასა ყოველთა ქრისტიანეთასა, და ჭქუა მეფემან ოთხთა თანა-მზრახველთა მისთა: „ღირს ვართ ჩუენ ღმერთთა ჩუენთაგან ბოროტის ყოფისა, რამეთუ უდებგიქმენით მსახურების მათისაგან, და მიუშვთ ჩუენ ქრისტიანეთა გრძნეულთა ქადაგებად შჯულსა მათსა ქუეყანასა. ჩუენსა, რამეთუ გრძნებითა ჭყოფენ საკვირველებათა მათ, აწ ესე არს განზრახვაჲ ჩუენი, რათა ბოროტად მოვსრნეთ.

1) ქ. ცხ. და სხვა ვარიანტები: „დაემოწაფა წმიდასა ნინოს სახლეულთა და ერთ მისით“.

2) ეს თავი ცოტა შეცვლილ არის შეტანილი ქ. ცხ.-ში. და სხვა ვარიანტებში (იხ. ქ. ცხ. გვ. 84—86) და აქამომდე ცნობილი იყო აბიათარის და არა სიღონის თქმულად.

ყოველი მოსავლი ჟუარცმულისანი და უმეტესად შუადგომისასურებასა ღმერთთა მათ მპყრობელთა ქართლისათა. კამხილოთ ნანას, ცოლსა ჩემსა, შენანებაჲ და დატყუებაჲ შჯულისა ჟუარცმულისასა, და თუ არა მერჩდეს, დავივიწყო სიუვარული მისი და სხუათა თანა წარვსწყმიდო იგიცა“. დაუმტკიცეს განზრახვაჲ იგი თანა-მოაზრეთა მათ, რამეთუ მკურვალედ იყვნეს ივინი საქმესა-მას და ჰქნებოდა ჰირველითგან, და კერ იკადრებდეს განცხადებულად. სოლო მეფემან მოკლო ყოველი სანახები მუხრანისა და აღვიდა მთასა თსოთისასა მალასა, რათამცა მოისილა კასპად და უფლისციხედ, და განვიდა თსემსა მთისასა. შუა სამსრის ოდენ დაუბნელდა მათ ზედა მზე და იქმნა, ვითარცა ღამე ბნელი და უკუნე, და დაიპურა ბნელმან არენი და ადგილნი, და განიბნივნეს ურთიერთარს ჭირისაგან და ურვისა, და დაშთა მეფე მარტო და იარებოდა მათთა მადნარითა, შეშინებული და შეძრწუნებული დადგა ერთსა ადგილსა, და წარეწირა სასოებაჲ ცხოვრებისა მისისა, და მოკეო თავისა ცნობასა, განიზრახვდა ესრედ გულსა შინა თვისსა: „აჰა, ესე-რა ვსადე ღმერთთა ჩემთათა და არა ვპოე ჩემზედა ღსინება. აწ რომელცა გვიქადაგებს ნინო ჟუარსა და ჟუარცმულსა, და ჰყოფს კურნებასა მისითა სასოებითა, არამცა ძალ-ედვა ესნაჲ ჩვენი ჭირისაგან, რამეთუ ვარ მე ცოცხლივ ჟოჯოსეთს შინა, და კერ უწეი, თუ ყოველისა ჭეუენისათჳს იქმნა დაქცევა ესე და ნათელი ბნელად გარდაიქცა, და თუ ჩემთჳს ოდენ.

აწ თუ ოდენ ჩემთჳს არს ჭირი ესე, ღმერთო ნინოსო, განძინათლე ღამე ესე და მიჩუენე საყოფელი ჩემი, და აღვიარო სასელი შენი, აღვიმართო ძელი ჟუარისა და.

თაყუანის ვსტე მას, და აღვაშენო სასლი სალოცველად ჩემდა, და ვიყო მორჩილ ნინოსასა შჯულისა ზედა ჭრომთასა⁴.

ესე რაჲ ყოველი წარმოთქუა, განთენა და გამობრწყინდა მზე, და გარდამოვიდა მეფე ცხენისაგან, და დადგა მას ადგილსა, განიპყრნა მგარნი აღმოსავალით ცად მიძართ და თქუა: „შენ სარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყოველთა ზედა უფალთა, ღმერთი რომელსა ნინო იტყუხ, და საქებელ არს სასელი შენი ყოვლისა დაბადებულისაგან ცასა ჭვეშე და ჭუეყანასა ზედა, რამეთუ შენ მივსენ მე ჭირისაგან და განმინათლე ბნელი ჩემი. აჰა, ესე-რა მიცნობიეს, რამეთუ გინდა კსნა ჩემი და ღსინებს მიასლებსა შენდა. უფალო კურთხეულო ამას ადგილსა აღმართო ძელი ჯვარისა, რომლითა იდიდებოდის სასელი შენი და იესენიებოდის საქმე ესე და სასწაული უკუნისამდე“. და ისწავლა ადგილი იგი, და წარმოემართა და ისილა: „ერმან მან ნათელი და გამოერთო ერი განბნეული, ხოლო მეფე დადადებდა: „მიეცით დიდებაჲ ღმერთსა ნინოსასა ყოველმან ერმან, რამეთუ იგი არს ღმერთი საუკუნეთა და მას მხოლოსა შუენის დიდებაჲ უკუნისამდე“.

ხოლო ნანა დედოფალი და ყოველი ერი და] ¹ იგი ქალაქი განვიდოდეს მიგებებდ მეთვისა, რამეთუ პირველ ესმინა წარწყმედაჲ და მერმე მოქცევაჲ მშჯდობით. და

¹) აქ რაც ფრჩხილებშია ჩასმული, ის დედანში აკლია, და ჩვენ იოვანე ნათლისმცემლის და შიო-მღვიმის გარიანტებიდან შევაკეთ. ქ. ცნობრებაში ეს ადგილი იპოვება მე 86—87 გვერდებზე.

მიეგებვოდეს ჭინძარს და ღართს და იყო სიხარული დიდი მშველობით მოქცევისათვის. ხოლო ნეტარი ნინო დადგრო- მილ-იყო ღოცვასა მწუხრისასა ჩუუელეებისაებრ მათულოკან- სსამის შინა და ჩუენ მისთანა ორმოცდა ათი სული.

და იყო ვითარცა შემოვიდა მეფე, იძროდა ყოველი იგი ქალაქი, და კმითა მალლითა დადადებდა მეფე და იტყუოდა: „სადა უკუე არს დედაკაცი იგი უცხოა, რომელ არს დედა ჩემი, და ღმერთი იგი მისი მხსნელი ჩემი?“

და ვითარცა ესა, ვითარმედ „აქ მათულოკანსა შინა არს და ილოცავს“, მოდრკა მეფე და ყოველი იგი დაშქარი მოვიდა, და გარდამოვიდა საკედრისაკან, და ეტყოდა ნინოს: „აწ ღირს ვარს სადიდ სახელსა ღუთისა შენისასა და მკსნელისა ჩემისასა“. ხოლო წმიდა იგი ასწავებდა და აწუკვდა მწრთულ თაყუანის-ცემასა აღმოსავლით ქრისტესა, მესა ღუთისასა. მაშინ იყო გრგუნვა და ტირილი ყოველისა-მის ერისა, რამეთუ ჰხედვიდეს მეფესა და დედოფლისა ცრემლთა დინებასა სიხარულისა მისგან და საკვრეველებისა დიდისა, რომელი იქმნა.

და ხვალისა დღე წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთა ¹⁾, ხოლო ნეტარი ნინო ასწავებდა დღე და და-

¹⁾ ქ ცხ. და სხვა ვარიანტები აქ უმატებენ: „მირიან მეფემა წინაშე კოსტანტინე მეფისა და წიგნი ნინოსი ელენე დედოფლისა წინაშე, და აუწუეს ესე ყოველი სასწაული ქრისტეს მიერი, რომელი იქმნა მცხეთას შინა მირიან მეფესა ზედა და ითხოვნეს მოსწრათებით მღუდელნი ნათლის ღებისათვის“.

მე უოკელსა კაცსა ჭეშმარიტსა-მას გზასა სარწმუნოკებისა-სა 1).

ხოლო მეფებ ეტყოდა ნინოს აღშენებისათჳს ეკლესიისა, ოდეს იგი წარემართა მეფებ და უოკელი ერთი მოსწრათუებით ქრისტწანობასა კიდრე მღღელთა-მათ მოსლვად-მღებ საბერძნეთით.

ჭჭუა მეფემან მოწმუნემან წმიდასა ნინოს: „სადა უშენო სასლი ღმერთსა?“ ხოლო ნეტარმან მან ჭჭუა: „სადაცა მეფეთა 2); გონება მტკიცე არს.“ ხოლო მეფემან ჭჭუა: „მიუყარან მაყუაღნი ეგე შესნი და მუნ მნებაგს გონებითა, არამედ არა ესრეთ“.

არამედ არა კრიდო სამოთხესა-მას სამეუფოსა და ნაძუთა სიმაღლესა, და ბაბილოთა მათ ნაყოფიერებასა და ყუავილთა მათ სულნელებასა, არამედ მას შინა აღვაშენოტაძარი სალოცკელად ჩემდა, რომელი ეგოს უკუნისამდე.

და მეუესეულად მოიღეს ძელი, და იწყეს შენებად, და მოჭკუეთეს ნაძუ იგი, და შემზადეს სუეტად და ძირთბ მისთა ზედა დადკეს საფუძველი ეკლესიისა.

და იყო სუეტისა მის საშინელი ხილვა და საკვრკელი, რომელი ზემო წერილ არს.

ხოლო ოდეს მოიწია ჟამი აღმართებად, სუეტი იგი პირველ მოკსენებული იწყეს ხუროთა მათ აღმართებად და გერ უძღეს.

1) ქ. ცხ.-ში და სხვა ვარიანტებში აქედგან იწყება ახალი პარაგრაფი შემდეგი სათაურით: „ოქმული მისივე (სიღონიასი) აღშენებისათვის ეკლესიათა“.

2) ქ. ცხ. და სხვა ვარიანტები: „მოთუაროთა“.

მაშინ შეკრბა სიმრავლზე ურიცხვ და მეფე მათთანა-
იწყეს ფერად-ფერადთა ღონეთა და მანქანათა მზადებად, არა
თუ აღმართებად-ოღენ ვერ შეუძლეს, არამედ შეძრვადცა, და
უკმ იქმნა უოკელი სიბრძნის და ღონისძიებაჲ კაცთაჲ, და
რათა სუეტისა-მის აღმართებითა საკვრველად ღმერთი იდი-
დოს და კაცნი უმეტესად დაემტკიცნენ სარწმუნოებასა.

და ვითარ ვერ შეუძლეს აღმართებად და უმარჯუ იქ-
მნა საქმე იგი, წარვიდა მეფე და უოკელი ერთი გულღე-
ბულ ურვისაგან და მწუხარს იუუნეს ამას ზედა.

ხოლო ნეტარი ნინო დაშთა ადგილსაკე და ათორ-
მეტნი დედანი სხუანი. ხოლო სანატრელი იგი გოდებად
და დაადენტა (sic) ცრემლთა სუეტისა-მას ზედა. და ვი-
თარცა შუალამე ოღენ იყო, წარმოიქცეოდეს ორნი ესე
მთანი, არმაზ და ზადენ, რეცა თუ ესრესთ ჩამოირღუე-
დეს და დააყენეს ორთავე წყალნი იგი, და მტყუარმან
გადმოხეთქა და წარქქონდა საშინელად ქალაქი, და მიერ
შეიქმნნეს კმანი საშინელნი და საზარელნი ტყებისა და
სიელტოლისანი.

ეგრევე არაგვ გარდამოკდა ციხესა ზემოეთ და იქმნე-
ბოდეს საშინელნი გრგვინანი და შემინდეს დედანი იგი, და
ივლტოდეს, და მეცა მათთანავე. ხოლო ნეტარი წმიდაჲ
ნინო ღაღადებდა: „ნუგეშინინ, დანო ჩემო, მთანი იგი
მუნვე ჭკიან და წყალნი იგი მუნვე დიან, და ერსა უო-
კელსა სძინავს.“

ხოლო ესე რომელ რეცა მთანი დაირღუეს სამართ-
ლად გუაჩუენებს, რამეთუ ურწმუნოებისა მთასი დაირღუეს
ქართლს შინა, და წყალნი რომელ დაეყენეს, დაეყენა სის-

ღი იგი ყრმათაჲ ეშმაკთა შეწირვისაჲ. სოლო კმანი ესე ტუებისანი არიან ეშმაკთა სიმრავლისანი, რამეთუ ეგლოვიან თავთა მათთა ოკრებსასა, რამეთუ არიან იგინი მეოტამით ადგილით ძალისა მძლლისაჲთა და ჟურითა ქრისტესითა. მოიქცით და ილოცევდით ღუთისა მიმართ, შეიღნო.“ და შეუსუულად დასცხრეს სმანი იგი და იყო არა რაჲ.

და დაღვა წმიდაჲ ნინო და განიპყრნა კელნი თჳსნი ცად მიმართ და თუაღნი ღუთისა მიმართ, ლოცვიდა და ევედრებოდა, რათა არა დააბრკოლოს საქმს ესე სარწმუნოებისაჲ მტერმან, რომელსა წადიერებით წარმართებულ არს მეფს და ყოველი ერი.

და ვიდრე არღა ევიენა ქათამსა, სამთავე კართა სცა ზარსა ლაშქარმან ძლიერმან და დაღუწნეს კარნი ქალაქისანი, და აღიკო ქალაქი სპარსთა ლაშქრითა, და შეუსუულად შეიქმნეს ზარის აღსაკდელნი ზრინკანი და უვიღნი და კლკაჲ ერისაჲ, ვითარცა სისხლი დიოდა, და აღიკოსო ყოველი ადგილი, და მოვიდა ჩუენ ზედა სიმრავლს ზახილთაჲ და მახლთაჲ, და დადნეს კორცნი ჩუენნი, და განიღია სული ჩუენი.

ხოლო მე გტიროდე მამისათჳს და ნათესავთა ჩემთათჳს და მწრათულ მესმა, კობდეჲს ძლიერად: „ამას ბრძანებს მეფს სპარსთაჲ ხუარა და მეფსთ-მეფს ხუარან-ხუარაჲ: „ყოველი ჭურიაჲ განარინეთ ჰირისაგან მახლისა“.

ვითარცა ესე მესმა, მოვეკე გონებსასა, შეორგულდი მე და ათნი იგი ჩემთანა, და მოასლებულ იყვნეს მახლლოსანნი, და ჩუენსა გარემოს სცემდეჲს და კლვიდეჲს, და

ისმა კმა ძლიერად: „შირეან მეფე შეიპურესო“. და გარემო ისილა მკნედ მოღუაწემან მან და თქუა (sic): „კულად (კლად) უკესა, ვიცი, რამეთუ დიდად შჭირს“ და ჭმადლობა და ღმერთსა.

რამეთუ ესე ნიშანი მათისა წარწემედისაჲ არს და ქართლისა ცხოვრებისაჲ და ამის აღგილსა დიდებისაჲ. და ნუგეშინის გუცემდა, ვითარცა მოძღუარი კელოვანი.

ნანდვლვე ჭეშმარიტად მოძღუარი და მოციქული ქრისტესი, წმიდაჲ ნინო, და მოექცა ერსამას მოძავლსა ჩუენსება და ჭქუა: „სადა არიან მეუენი სპარსთანი ხუარა და ხუანხუარა (sic), საბასტანით გუშინ წამოსუედითაჲ მალე მოხუედით, დიდად სამე არს ლაშქარი უზომო ვიდრეჲ ხართ, და ძლიერად დაჭლეწეთ ქალაქი ესე, მაკვლი დაეცით ქართა და ნიკთა.“

წარკედით ბნელთა ჩრდილომსათა მათათ-მათ კედარისათა. აჲ მოვიდა იგი, რომელსა თქუენ კელტოდეთ, და განძრა მარჯუენე თუსი და დასწერა კელთა სასწე ქუარისაჲ.

და მეუესეულად უჩინო იქმნა ყოველი იგი სიმრავლელ ერისა და იქმნა დაუუდება დიდ და ჩუენ ვადიდებდით ღმერთსა და ჭვნატრიდით წმიდასა და სანატრელსა ნინოს.

და ვითარცა ცისკარი აღეღებოდა მცირედ მიერულა დათა 1) ამათ ჩემთა, სოლო მე მღვდარს ვიყავ და წმიდა ნინო დგა კელ-აღმუორობილი.

1) ქ. ცხ. და სხვა გარიანტები: „დედათა“.

და აჭა, ესერა ზედა მოადგა ჭაბუკი ერთი ყოვლადვე წათლითა შემოსილი და მიებარდნა ცეცხლის სასკედ ზეწარი, და არქუნა სამნი რამე სიტყუანი ნეტარსა ნინოს.

